კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

დიმიტრი ხუნდაძე

# დემოგრაფიული პოლიტიკა, როგორც სახელმწიფო უსაფრთხოების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი (საქართველოს მაგალითზე)

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

**ავტორეფერატი**

თბილისი, 0141, საქართველო 2025

სამეცნიერო ნაშრომი შესრულებულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

**სამეცნიერო ხელმძღვანელი:**

**თამარ კიკნაძე**

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**ოფიციალური რეცენზენტები:**

**ვაჟა ლორთქიფანიძე**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**დავით კუხალაშვილი**

ისტორიისა და პროფესიული უსაფრთხოების დოქტორი,

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**ექსპერტები:**

**ქეთევან შოშიაშვილი**

ისტორიის დოქტორი,

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

**ვაჟა შუბითიძე**

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2025 წლის 2 ივლისს, 15:00 საათზე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

**მისამართი:** 0141, თბილისი, ჩარგლის ქუჩა N 73, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, 305-ე აუდიტორია.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

**სადისერტაციო საბჭოს მდივანი:** კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ქეთევან შოშიაშვილი

# შესავალი

## თემის აქტუალობა და საკვლევი პრობლემის წინაპირობა

გლობალური პოლიტიკა დროთა განმავლობაში იცვლება და პარალელურად იცვლება ღირებულებათა სისტემაც. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ბევრი რამ შეიცვალოს, დემოგრაფიული პოლიტიკისადმი დამოკიდებულებას გაერთიანებული ერების ორგანიზაცია არ ცვლის. ეს განპირობებულია დემოგრაფიული პოლიტიკის უმთავრესი ფუნქციით სახელმწიფოთა უსაფრთხოების საკითხებში. ეს არის ის უმთავრესი ფუნქცია, რის გამოც გაერომ დემოგრაფიული პოლიტიკა პოლიტიკების პოლიტიკად აღიარა.

რამდენადაც დემოგრაფიული პოლიტიკა მოსახლეობის განვითარების დინამიკას ასახავს, მას ხშირად სახელმწიფოს უმთავრეს პოლიტიკადაც მოიხსენიებენ. რაც მთავარია, მოსახლეობის რაოდენობის ზრდა და კლება, სახელმწიფო საზღვრები, ერის დაბერება, ადამიანური კაპიტალი, შიდა კონფლიქტები – პირდაპირ კავშირშია სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებთან. აქედან გამომდინარე, ქვეყნები, რომლებსაც უმწვავესი დემოგრაფული პრობლემები აქვთ, სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციას სწორედ დემოგრაფიულ პოლიტიკაზე დაყრდნობით ადგენენ.

დღეს, გლობალიზაციის ეპოქაში, სახელმწიფოები და მათი შეიარაღებული ძალები ერთ-ერთი ყველაზე კომპლექსური გამოწვევების წინაშე დგანან. ეს გამოწვევები განპირობებულია ტექნოლოგიების განვითარებით, საერთაშორისო ურთიერთობებში დიდი ქაოსითა და სერიოზული პრობლემებით, რაც მთავარია, ტრადიციული პოლიტიკური სისტემების დასუსტებით. თანამედროვე გამოწვევებმა, ბუნებრივია, შეცვალა ომის წარმოების მეთოდები და ტექნოლოგიები. ამ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტერმინი „ჰიბრიდული ომი“, რომელიც დღეს საყოველთაოდ ცნობილი ტერმინია.

საქართველოს დამოუკიდებლობის 35-წლიანმა მოკლე, მაგრამ საკმაოდ დატვირთულმა პერიოდმა ნათლად დაგვანახა, რომ ჰიბრიდული ომი ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებს არა მხოლოდ ჩრდილოეთის, არამედ, დასავლეთის

მხრიდანაც. ორივე მხარე დეზინფორმაციას იყენებდა და დღესაც აქტიურად იყენებს საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის. საქართველო არც  მომავალშია დაზღვეული ახალი გიგანტი სახელმწიფოების ზეგავლენისგან.

ყველა სახელმწიფო ჩვეულებისამებრ მოქმედებს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. ის, რომ დაინტერესებული მხარეები ასე იქცეოდნენ, არ არის გასაკვირი, გასაკვირი მხოლოდ ის არის, რომ ამას ორივე მხარე ქართველების ხელით მოქმედებდნენ. აქტიური დეზინფორმაციული კამპანიაც სწორედ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების უშუალო მონაწილეობით ხორციელდება დღესაც.

ქვეყანაში დემოგრაფიული პრობლემების წარმოქმნას უმთავრესად ტრადიციული, ოჯახური ღირებულებებისა და ეროვნული ცნობიერების დაქვეითება იწვევს. ამაში კი მთავარი პროპაგანდისტული როლი ლიბერალიზმს ეკუთვნის. მცირე ერების განადგურებისთვის ჰიბრიდული ომი ბევრად უფრო მოსახერხებელია, ვიდრე სამხედრო საომარი ქმედებები. ძლიერი იდეოლოგიური საინფორმაციო კამპანიით და, მითუმეტეს, დეზინფორმაციით მცირე, ტრადიციულ ქვეყნებში შესაძლებელია ერის იდენტობის განადგურება, რაც თავისთავად ნიშნავს ამ ქვეყნის დაპყრობას.

ჰიბრიდული ომით შესაძლებელია ქვეყნის მოსახლეობის აზროვნების შეცვლა, ოჯახური ღირებულებების დაქვეითებით ახალგაზრდებში ქორწინებათა რაოდენობის შემცირება, შობადობის კლება, მიგრაციის ზრდა, ეროვნული განათლებისა და ცნობიერების წაშლა, კულტურული სფეროს პოლიტიზირება კერძო ინტერესებისთვის და, საბოლოო ჯამში, ერი-სახელმწიფოს სტატუსის დაკაგვა. ეს კი პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოს უსაფრთხოებასთან, ანუ, საქართველოს შემთხვევაში, ჰიბრიდული ომის შედეგები პირდაპირ აისახება ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე, რაც საბოლოო ჯამში საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს.

მოსახლეობის ზრდა და კლება შესაძლოა ზოგისთვის უბრალოდ სტატისტიკაა, მაგრამ სახელმწიფოსთვის ეს მოსახლეობის სრულ პოლიტიკას ასახავს. დღეს საერთაშორისო თანამეგობრობა ერთობლივი ძალისხმევით ებრძვის მსოფლიო

მოსახლეობის სერიოზულ დისბალანსს განვითარებულ და განვითარებად სახელმწიფოებს შორის. აღსანიშნავია, რომ 5 გლობალურ პრობლემას შორის ერთ-ერთი დემოგრაფიული პრობლემაა. ეს არის როგორც მსოფლიოს მოსახლეობის კატასტროფული ზრდა, რომელიც საფრთხეს უქმნის განვითარებულ სახელმწიფოებს, ასევე, მოსახლეობის საგრძნობი კლება ტიტულოვან ერებში, ანუ, უძველესი ცივილიზაციის მქონე ქვეყნებში.

ეს პრობლემაც სწორედ განვითარებული სახელმწიფოების წინაშე დგას. დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტიტულოვან ერებს გაქრობა ემუქრებათ. სწორედ ამიტომ, როგორც ევროპული, ისე პოსტ-საბჭოთა ქვეყნების ყურადღება ძირითადად გადატანილია სწორი დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თანამედროვე მსოფლიოში მოსახლეობის სწრაფი ზრდა აღინიშნება განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში. ამჟამად, ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, 145 მილიონი ბავშვიდან 125 მილიონი განვითარებად ქვეყნებში იბადება.

ზოგადად, ნებისმიერი მეცნიერება კონკრეტული პრობლემის წარმოჩენასთან ერთად ვითარდება და გვთავაზობს ახალ თეორიებს ამ პრობლემის მოსაგვარებლად. დემოგრაფიული მეცნიერების მიმართ ყურადღება მას შემდეგ გაძლიერდა, რაც მსოფლიოში იმძლავრა დემოგრაფიულმა პრობლემებმა; ხოლო მსოფლიოს მთავარ პრობლემად დემოგრაფიული მონაცემები მას შემდეგ იქცა, რაც დაიწყო საგრძნობი მიგრაცია განვითარებადი სახელმწიფოებიდან განვითარებულ სახელმწიფოებში. ამ ფაქტზე თავდაპირველად ყურადღება არ გამახვილდა და, ჩვეულებრივ, ტოლერანტობად და დემოკრატიულ ღირებულებად მიიღეს დასავლეთის სახელმწიფოებმა. თუმცა, იმ პერიოდის სხვადასხვა ქვეყნის დემოგრაფები და მეცნიერები მოსალოდნელ საფრთხეებზე ღიად მიუთითებდნენ. ამ მეცნიერებს ლიბერალები ნეო-ფაშისტებად მიიჩნევდნენ და მუდმივად აკრიტიკებდნენ. თუმცა, დღეს უკვე, სულ რაღაც 20 წელიწადში, ევროპაც და ამერიკაც თავად ალაპარაკდა მიგრაციის საფრთხეებზე. ეკონომიკური სარგებლის მიზნით, დაბალანაზღაურებადი

მუშახელის მიღებით, განვითარებული სახელმწიფოები დღეს მიგრაციულ კოლაფსში მოექცნენ. ძირითადად ევროპულმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს კლებადი მოსახლეობის მიგრანტებით შევსება. ეს თავდაპირველად პრობლემას არ წარმოადგენდა, თუმცა, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება ევროპული სახელმწიფოების უდიდეს პრობლემად იქცა.

დღეს მიგრაცია მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთ მთავარ დემოგრაფიულ პრობლემად არის მიჩნეული, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც აბორიგენი მოსახლეობა შობადობის კლების ხარჯზე კლებულობს და მიგრანტებით ივსება. დროთა განმავლობაში, ასეთ სახელწიფოებში იცვლება სახელმწიფო პოლიტიკაც. სწორედ ამიტომ მიიჩნევენ დემოგრაფიულ პრობლემებს სახელმწიფო უსაფრთხოების უმთავრეს საკითხად.

მეცნიერები უმთავრეს პრობლემად როგორც ემიგრაციას, ისე ჭარბ იმიგრაციას ასახელებენ. მიჩნეულია, რომ მიგრაციის შემთხვევაში, თუკი მოსახლეობა თავისი ეთნოსით ჭარბია, ეს დროთა განმავლობაში იწვევს ეთნოკულტურის ცვლილებას სახელმწიფოში, პოლიტიკაში კი საკუთარი წარმომადგენლების გაჩენას და, რაც მთავარია, უმეტეს შემთხვევაში, კონკრეტულ ტერიტორიებზე საკუთრების მოთხოვნას. ანუ, მშვიდობიანი და, ერთი შეხედვით, ჰუმანური აქტი (ლტოლვილების მიღება), შესაძლოა, დროთა განმავლობაში, შიდა კონფლიქტებსა და საომარ ქმედებაში გადაიზარდოს. ამის არაერთი მაგალითი მოეპოვება მსოფლიოს, მათ შორის, საქართველოს უახლესი ისტორიიდან. ზემოთ მოყვანილი ფაქტები არ არის იმის აპოგეა, რომ მიგრანტები სახელმწიფომ არ უნდა მიიღოს, ამას ვერც ერთი განვითარებული ქვეყანა ვერ აუვლის გვერდს. მთავარია, სახელმწიფოს ჰქონდეს სწორი მიგრაციული პოლიტიკა, რომ დროთა განმავლობაში ამ პროცესმა ანტისახელმწიფოებრივი შედეგი არ მოგვცეს.

ჭარბი მოსახლეობის ქვეყნები განსაკუთრებით ჩინეთ-ინდოეთის სახელმწიფოების გაძლიერების შემდეგ მოექცნენ მსოფლიოს ყურადღების ქვეშ. რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად მივიღეთ ახალი გეოპოლიტიკური რეალობა, სადაც

აღმოსავლეთის გიგანტი სახელმწიფოები ზესახელმწიფოს სტატუსისთვის იბრძვიან. მსგავს ვითარებაში არიან სამხრეთის ქვეყნებიც. აქ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ამ სახელმწიფოების ძლიერი ეკონომიკა, არამედ დემოგრაფიული მაჩვენებლებიც. მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილია, რომ 2024 წელს საფრანგეთის არჩევნების ბედი, ფაქტობრივად, იქ მცხოვრებმა მუსლიმებმა გადაწყვიტეს, რაზეც ფრანგი კონსერვატორები ღიად მიუთითებდნენ. ამან გამოიწვია მემარჯვენე იდეოლოგიის მქონე პოლიტიკური პარტიების გაღიზიანება, უფრო მეტიც –კონსერვატორული რადიკალიზმის წარმოქმნა. ულტრამემარჯვენე ფრთის გაძლიერებას ძირითადად მოჰყვება რადიკალიზმი. ეს კი ულტრალიბერალური პოლიტიკის შედეგია. მსგავსი სიტუაციაა ევროპის სხვა ქვეყნებშიც.

ამერიკის შეერთებულ შტატებში თითქმის მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა როგორც იტალიელების, ფერადკანიანების, ისე ჩინელი და ინდოელი ხალხის მასობრივი მიგრაცია. ისინი უკვე კარგად არიან ინტეგრირებულნი ადგილობრივ პოლიტიკაში, ეკონომიკაში, მეცნიერებაში თუ სხვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ისინი აშშ-ს მოქალაქეები არიან, თუმცა, კრიტიკულ სიტუაციაში, მათთვის აუცილებლად ანგარიშგასაწევი იქნება საკუთარი ქვეყნები. სწორედ ამით ხსნიან ექსპერტები იმ მიზეზს, რომ ბოლოხანს დასავლეთის სახელმწიფოებში პოლიტიკურმა პარტიებმა მმართველ პირებად წინ წამოსწიეს სამხრეთ-აღმოსავლური წარმოშობის პირები (რიში სუნაკი – ბრიტანეთი, ბარაკ ობამან – აშშ, კამილა ჰარისი – აშშ). ეს გადაწყვეტილება გათვლილი იყო სახელმწიფოს შიგნით არა მხოლოდ ხმების რაოდენობაზე, არამედ, სახელმწიფოთაშორის კავშირებზეც. აქედან გამომდინარე, ნათელია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია დემოგრაფიული პოლიტიკა სახელმწიფო პოლიტიკაში, განსაკუთრებით, უსაფრთხოების საკითხებში.

როგორც ბევრ ევროპულ ქვეყნაში, საქართველოშიც დემოგრაფიული პრობლემები მძვინვარებს. მართალია, მოსახლეობის ახალი საყოველთაო აღწერის შედეგები ჯერ არ გვაქვს, თუმცა, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, ბუნებრივი მატება ქვეყანაში აღარ აღინიშნება. ეს, რა თქმა უნდა, სხვა პრობლემებთან ერთად,

გამოწვეულია კოვიდ-პანდემიითაც. თუმცა, მთავარი აქ გასული საუკუნის ბოლო პერიოდის სოციალურ-დემოგრაფიული ფაქტორებია. 90-იან წლებში საქართველოში დაიბადა იმის ნახევარი, ვიდრე იბადებოდნენ წინა ათი წლის განმავლობაში. სწორედ ეს თაობა შევიდა ახლა დედობის ასაკში და ბუნებრივია, განახევრებული დედები განახევრებულ შობადობას გვაძლევენ. აქ ასევე გასათვალისწინებელია თანამედროვე ახალგაზრდების მსოფლმხედველობა და ოჯახური ღირებულებებისადმი დამოკიდებულება, რაც პირდაპირ კავშირშია ბუნებრივ მატებასთან.

თუკი ტერიტორიული მთლიანობა საქართველოში უპირველესი სახელმწიფოებრივი პრობლემა იყო, დღეს, სამწუხაროდ, დემოგრაფიულმა მდგომარეობამ, თავისი სიმწვავით, ტერიტორიული მთლიანობის საკითხსაც კი გაუსწრო და საფრთხის წინაშე დააყენა მთლიანად სახელმწიფო. სწორედ ამიტომ ენიჭება უპირატესობა დემოგრაფიულ პოლიტიკას და  დემოგრაფიულ მეცნიერებას. დემოგრაფია დღეს არა მხოლოდ მსოფლიოს მასშტაბით, არამედ საქართველოშიც, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეცნიერებაა, რომელსაც უნდა დაეყრდნოს სახელმწიფო პოლიტიკა.

გარდა იმისა, რომ დემოგრაფიულ პოლიტიკას „პოლიტიკების პოლიტიკას“ უწოდებენ, მას, როგორც მეცნიერებას, „მეცნიერებათა მეცნიერებად“ აღიარებენ. სამწუხაროდ, დღეს სახელმწიფოში დემოგრაფიული მეცნიერების გამოყენება სათანადოდ ვერ ხერხდება. პრობლემები ბევრად უფრო მწვავეა, ვიდრე ამ პრობლემების მოგვარებისთვის შემუშავებული სახელმწიფო პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ დემოგრაფიული პოლიტიკა უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ დოკუმენტებშია ასახული, სამოქმედო გეგმა სრულად ვერ მოიცავს იმ სფეროებს, რასთანაც შემხებლობა აქვს დემოგრაფიას.

გაერთიანებული ერების ყველა წევრ სახელმწიფოში მოქმედებს ხალხთმოსახლეობის ფონდის ადგილობრივი ოფისი, რომელიც მის მიერ ჩატარებული ფართომასშტაბიანი კვლევებით ეხმარება ქვეყნის ხელისუფლებას, სწორად წარმართოს დემოგრაფიული პოლიტიკა. 2010 წელს გაეროს მოსახლეობის

ფონდმა გამოაქვეყნა საქართველოში უცხოელი მკვლევრების მიერ ჩატარებული დემოგრაფიული კვლევის შედეგები, რის მიხედვითაც კავკასიაში ირღვევა დემოგრაფიული ბალანსი, რაც პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოთაშორის პოლიტიკის ცვლილებასთან. დემოგრაფიული ბალანსი ირღვევა მხოლოდ საქართველოს მოსახლეობის კლების ხარჯზე. ასეთ შემთხვევაში, საქართველო კავკასიაში კარგავს დომინანტი სახელმწიფოს როლს.[1]

გლობალურ პოლიტიკაში ყოველთვის უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა კავკასიის პოლიტიკას. მას შემდეგ, რაც გაერომ საქართველოს „გეოპოლიტიკური კარიბჭე“ უწოდა, ჩვენი ქვეყნისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა. სამხრეთ კავკასიის მიმართ ამგვარ ხიბლს სწორედ ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნებით გამორჩეული კავკასიური ცივილიზაცია ქმნის. თუკი ამ ცივილიზაციის შემოქმედი თუნდაც ერთი ქვეყანა ისტორიას წარსულში დარჩება, კავკასიური პოლიტიკა აუცილებლად შეიცვლება. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მოსახლეობის განვითარების ტენდენციები გვიჩვენებს, რომ სამივე ქვეყნის დემოგრაფიული პოლიტიკა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს რეგიონის სამომავლო პოლიტიკას.

გარდა ამისა, ახალ გლობალურ პოლიტიკაში, კავკასია იღებს არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ დატვირთვასაც – დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთულ ქვეყნებს შორის. საქართველო იქცევა არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ, პოლიტიკურ ჰაბად, რაც ერთგვარი ისტორიული წინაპირობაა ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ქვეყნის მშვიდობის გრძელვადიანი პერსპექტივის მოსაპოვებლად და განსავითარებლად. ამისთვის კი აუცილებელია ადგილობრივი მოსახლეობის მიგრაციის შეჩერება, შობადობის ზრდა, საზღვრისპირა ზოლის მოსახლეობით გამაგრება და, საზოგადოდ, აბორიგენი მოსახლეობის მდგრადობა ჩვენი ეთნო-კულტურის შესანარჩუნებლად.

[1] World population. UNFPA. 2011-2016

ისტორიული სამეცნიერო  წყაროებიდან ირკვევა, რომ  სახელმწიფოს სიძლიერე ფეხდაფეხ მიჰყვება მოსახლეობის რაოდენობას. საქართველო სწორედ იმ წლებში იყო ძლიერი, როდესაც მას მრავალრიცხოვანი მოსახლეობა ჰყავდა. მრავალრიცხოვანი მოსახლეობის პირობებში  გაცილებით უკეთესია ქვეყნის თავდაცვითუნარიანობა ჯარსა და ძალოვან სტრუქტურებთან დაკავშირებით. როდესაც შობადობა მცირდება, შესაბამისად მცირდება დაბადებულ ვაჟთა რაოდენობაც. ეს კი უშუალოდ უკავშირდება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას. ამ პრობლემას უფრო მეტად ართულებს მიგრაციის დიდი ნაკადი სწორედ რეპროდუქციული ასაკის მოქალაქეებში. ასევე, მნიშვნელოვანი პრობლემები გვაქვს ახალგაზრდა თაობის ეროვნული ცნობიერების თვალსაზრისით, კერძოდ – ოჯახური ღირებულებების მიმართ დამოკიდებულებაში, რაც პირდაპირ კავშირშია დემოგრაფიულ პრობლემებთან.

დღეს არსებული სიტუაცია გვაძლევს იმის საბაბს, რომ ქვეყნის დემოგრაფიული პოლიტიკა კიდევ უფრო ღრმად შევისწავლოთ და ავსახოთ სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებში.

**კვლევის მიზნები და ამოცანები**

**კვლევის მიზანს** წარმოადგენს სახელმწიფო უსაფრთხოების მთავარ ფაქტორად დემოგრაფიული პოლიტიკის განსაზღვრა; ასევე,  მეცნიერული თეორიებისა და დოქტრინების შესწავლის საფუძველზე, სახელმწიფო უსაფრთხოებაში დემოგრაფიული პოლიტიკის  როლისა და თანამედროვე გლობალური პოლიტიკის გამოწვევების განსაზღვრა.

მნიშვნელოვანია დემოგრაფიული პოლიტიკის, როგორც „პოლიტიკების პოლიტიკის“ წარმოჩენა. მისი ფუნქციის სწორად განსაზღვრა ერის იდენტობისა და სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების დაცვაში.

კვლევის მიზანია ასევე, ნათლად წარმოაჩინოს გლობალიზაციის პოზიტიური და ნეგატიური შედეგები მცირე ერების პოლიტიკაში და დასახოს კონკრეტული მიზნები

საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარებისთვის, ვინაიდან, განსაკუთრებულ დატვირთვას დემოგრაფიული პოლიტიკა ახალ გეოპოლიტიკურ პროცესებში იძენს.

**კვლევის ამოცანებია:**

- მეცნიერულად შევისწავლოთ დემოგრაფიული პოლიტიკის, როგორც სახელმწიფო უსაფრთხოების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორის თეორიულ-ისტორიული ჩარჩო;
- განვსაზღვროთ დემოგრაფიის, როგორც ეროვნული ინტერესების გამტარებელი პოლიტიკის როლი კონფლიქტების ტრანსფორმირებასა და სახალხო დიპლომატიაში;
- მეცნიერულად შევისწავლოთ საქართველოში ადამიანიური კაპიტალის და დემოგრაფიული პრობლემის გადაჭრის პერსპექტივა;
- გამოვიკვლიოთ დემოგრაფიული პოლიტიკის, როგორც ეროვნული ინტერესების რეალიზაციის შესაძლებლობები და განვსაზღვროთ საზოგადოების როლი დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელებასა და სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

**საკვლევი კითხვები**

- როგორია დემოგრაფიული პოლიტიკის, როგორც ქვეყნის უსაფრთხოების განმსაზღვრელი ფაქტორის თეორიულ-ისტორიული ჩარჩო და კონცეპტუალური ხედვა?
- როგორ უნდა ჩამოყალიბდეს დემოგრაფიული პროცესების სამართლებრივ-პოლიტიკური რეგულირების მექანიზმები, რათა უზრუნველყოფილ იქნას ადამიანური კაპიტალისა და სოციალურ-პოლიტიკური პროცესების სათანადო მართვა და ქვეყნის რეგიონული ლიდერობა?
- რა როლი აქვს დემოგრაფიული უსაფრთხოების პოლიტიკას ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების მოგვარებაში?

- ექსპერტების შეფასებით, რა როლს ასრულებს საზოგადოება დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელებასა და სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში?

**ნაშრომის ჰიპოთეზა**

თუკი დემოგრაფიული პროცესების სამართლებრივ-პოლიტიკური მექანიზმები ყალიბდება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, ადამიანური კაპიტალის, მიგრაციული და დაბერების პოლიტიკის, კონფლიქტების, რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ახალგაზრდული პოლიტიკის მართვით, მაშინ დემოგრაფიული პოლიტიკა სრულად წარმოადგენს პოლიტიკების პოლიტიკას.

და თუკი უსაფრთხოების ობიექტია სახელმწიფო, ხოლო სახელმწიფოს მართავს სხვადასხვა დარგობრივი პოლიტიკა, რომელიც საბოლოო ჯამში თავს იყრის დემოგრაფიულ პოლიტიკაში, მაშინ ქვეყნის უსაფრთხოებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს დემოგრაფიული პოლიტიკა.

საბოლოოდ, რადგან დემოგრაფიულ პრობლემებს ქვეყანაში მეტწილად წარმოშობს ტრადიციული, ოჯახური ღირებულებებისა და რწმენის დაქვეითება, ამდენად, დემოგრაფიული პოლიტიკა სრულად განსაზღვრავს ერის იდენტობას და ემსახურება ეროვნულ ინტერესებს სახელმწიფო უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელებისას.

**კვლევის საგანი და ობიექტი**

კვლევის საგანია დემოგრაფიული პოლიტიკის კავშირი სახელმწიფო უსაფრთხოებასთან.

**კვლევის ობიექტია** საქართველო, დემოგრაფიული პოლიტიკის როლის განსაზღვრა სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებში.

**კვლევის თეორიული ჩარჩო**

სამეცნიერო ნაშრომში გამოვიყენეთ ის თეორიები და დოქტრინები, რაც შემუშავებულია მეცნერების მიერ სხვადასხვა დროს. იმის გათვალისწინებით, რომ დემოგრაფიული პოლიტიკა მრავალ სფეროს მოიცავს, სამეცნიერო თვალსაზრისითაც განვიხილეთ ის თეორიები, რაც შემხებლობაშია დემოგრაფიულ მეცნიერებასა და უსაფრთხოების საკითხებთან, კერძოდ: უსაფრთხოების, დემოგრაფიული მეცნიერების, ადამიანური კაპიტალის, დაბერების პოლიტიკის, მიგრაციის, ეთნოკონფლიქტების და რეგიონალური პოლიტიკის მართვის თეორიები. აქედან გამომდინარე, ჩვენს მიერ განხილული თეორიეული ბაზა ვრცელია, თუმცა, კვლევისას ძირითადად მივყევით რამდენიმე თეორიას:

უსაფრთხოების შესახებ დავეყრდენით უცხოელ მკვლევრებს, რომელთა განსხვავებული თეორიები საყურადღებო აღმოჩნდა ჩვენი კვლევისთვის: ბარი ბუზანის, უოლტერ ლიპმანის და დავით ბოლდუინის თეორიები საუკეთესოდ ერწყმის ეროვნულ პოლიტიკას და ტრადიციულ ღირებულებებს.

**ბარი ბუზანი**ს თეორია:

- „უსაფრთხოების“ კონცეფციაში არის არა ძალა და მშვიდობა, არამედ, რაღაც მათ შორის არსებული. უსაფრთხოების ობიექტს წარმოადგენს სახელმწიფო“.[2]

ბარი ბუზანის თეორია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი სამეცნიერო კვლევისთვის. თუკი უსაფრთხოების ობიექტს წარმოადგენს სახელმწიფო, სახელმწიფოს წყარო არის ხალხი, ხოლო ხალხის, ანუ მოსახლეობის განვითარების პოლიტიკას კი გადმოსცემს დემოგრაფიული მეცნიერება.

**უოლტერ ლიპმანის** თეორია:

– „უსაფრთხოება“ არის სახელმწიფოთა შესაძლებლობა – დაიცვან საკუთარი ღირებულებები“.[3]

დემოგრაფიული პოლიტიკა, რომელსაც პოლიტიკების პოლიტიკას უწოდებენ, ყველაზე მეტად სწორედ ეროვნული ღირებულებების დაცვას მოითხოვს. ცნობილია

---

[2] Buzan, B. and L. Hansen, The Evolution of International Security Studies. Cambridge, Cambridge University Press, 2009, p. 25

[3] Lippman, W. U.S.Foreign Policy. London. Hamish Hamilton, 1944, p. 18

მოსაზრება, რომ დემოგრაფიული პრობლემები თავს იჩენს იქ, სადაც ქვეითდება ეროვნული ცნობიერება: ოჯახური, რელიგიური, ტრადიციული ღირებულებები. ამ პრობლემების მოგვარება სწორედ ამიტომ არის მჭიდრო კავშირში ეროვნული ფასეულობების დაცვასთან.

**ფრენკ ჰოფმანის „ჰიბრიდული ომის“ თეორია**:

-„ჰიბრიდული ომი არის ნებისმიერი მოწინააღმდეგეს ქმედება, რომელიც ერთდროულად და ადაპტირებულად ომის ველზე იყენებს კონვენციური იარაღის, არარეგულარული ტაქტიკის, ტერორიზმისა და კრიმინალური მოქმედებების ნაზავს თავისი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად“.[4]

ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში „ჰიბრიდული ომის“ თეორია იმ მიზნით გამოვიყენეთ, რომ დემოგრაფიული პოლიტიკის წინააღმდეგ გლობალიზაციის პერიოდში, სწორედ ჰიბრიდული ომის ერთ-ერთ მძლავრ იარაღად იქნა გამოყენებული დეზინფორმაცია და საინფორმაციო ომი.

**გაის რაიდერის თეორია:**

- „მოსახლეობა არის კონკრეტული პირების ერთიანობა სივრცითი და დროებითი განვითარების ფარგლებში. არსებობს მოსახლეობის განვითარების ორი მოდელი: მიკროდინამიკური (ინდიდვიდუალური) და მაკროდინამიკური (საერთო, მთლიანი), რომელიც საბოლოო ჯამში განსაზღვრავს სახელმწიფოს“ [5].

გაის რაიდერის თეორიამ საშუალება მოგვცა შეგვესწავლა მოსახლეობის განვითარება ერის დაბერების დინამიკის, ადამიანური კაპიტალის და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით.

**კვლევის მეთოდები**

სადისერტაციო ნაშრომში კვლევისას გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდები: ისტორიული რეტროსპექტივა და ანალიზი, შედარებითი მეთოდი, case study, კონტენტ ანალიზი და ემპირიული კვლევის მეთოდი - ჩარმავებული პირისპირ

---

[4] Frank Hoffman. Hybrid Warfare and Challanges. Small War Journal, 2009: 29.

[5] Вандескрик Кр. Демографический анализ. 2005. С. 46

სტრუქტურირებული ინტერვიუ და ფოკუს-ჯგუფში კვლევა. სადოქტორო ნაშრომის თეორიულ ნაწილში ფართოდ მიმოვიხილეთ უსაფრთხოებისა და დემოგრაფიის სამეცნიერო თეორიული ასპექტები და მისი კავშირი სახელმწიფო პოლიტიკასთან, თუ როგორ აისახება ეს მეცნიერება და პოლიტიკა ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებზე.

სადისკუსიო გეგმა, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ შედგებოდა დახურული და ნახევრად დახურული კითხვებისგან, ასევე, იყო ღია კითხვებიც, დაზუსტება და მეორადი კითხვებიც. ფოკუს-ჯგუფში გამოკვლევისას შევარჩიეთ ერთ-ერთი ტიპი – ანალიტიკური გამოკვლევა. შევადგინეთ გამოკვლევის პროგრამა, ანუ კონცეფცია.

კვლევის მეთოდოლოგიურ ნაწილში შევეცადეთ, ჩამოგვეყალიბებინა პრობლემის არსი და თემის აქტუალობა. განვსაზღვრეთ ობიექტი და თემა. პრობლემიდან გამომდინარე, დავსახეთ მიზნები და ამოცანები და, საბოლოოდ, შევეცადეთ, დაგვესაბუთებინა კვლევის ჰიპოთეზა.

## ნაშრომის მეცნიერული სიახლე

თეორიული და ემპირიული კვლევებით, წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში ჩვენ ვასაბუთებთ, რომ დემოგრაფიული პროცესების სამართლებრივ-პოლიტიკური მექანიზმები ყალიბდება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, ადამიანური კაპიტალის, მიგრაციული და დაბერების პოლიტიკის, კონფლიქტების, რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ახალგაზრდული პოლიტიკის მართვით. ამ შემთხვევაში კი განვსაზღვრეთ ერთ-ერთი მეცნიერული სიახლე - დემოგრაფიული პოლიტიკა სრულად წარმოადგენს პოლიტიკების პოლიტიკას.

თავის მხრივ, თუკი უსაფრთხოების ობიექტი არის სახელმწიფო, მაშინ დემოგრაფიული პოლიტიკა, როგორც პოლიტიკების პოლიტიკა, სრულად განსაზღვრავს სახელმწიფო უსაფრთხოებას. მთავარი მეცნიერული სიახლეც სწორედ ეს არის – სახელმწიფო უსაფრთხოების რანგში წარმოდგენილი დემოგრაფიული პოლიტიკა.

ქართული პოლიტიკის მეცნიერებაში  ერთ-ერთ პირველ მცდელობას შეადგენს ერთდროულად შესწავლილი დემოგრაფიული პრობლემების ნიადაგზე წარმოქმნილი მცირე ერების სახელმწიფო უსაფრთხოების თეორიები. ცალ-ცალკე ეს საკითხები დამუშავებულია სხვადასხვა მეცნიერის მიერ, თუმცა, მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არ არის დადგენილი, რაც თანამედროვე გლობალურ პოლიტიკაში უმნიშვნელოვანესია – ტიტულოვანი ერების გადარჩენისა და განვითარების თვალსაზრისით.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე პასუხობს ყველა იმ გამოწვევას, რაც დღეს ესოდენ მძაფრად დგას დემოგრაფიული პრობლემების მქონე ქვეყენების წინაშე – დემოგრაფიულ პოლიტიკაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბონ სახელმწიფო უსაფრთხოების პოლიტიკური დოკუმენტები. დემოგრაფია არ შეიძლება განხილულ იქნას მხოლოდ მოსახლეობის სტატისტიკური აღრიცხვის სფეროდ. რამდენადაც ეს მეცნიერება თავის თავში მოიცავს სოციალურ, ეკონომიკურ, მიგრაციულ და კონფლიქტების ტრანსფორმაციის პოლიტიკას, იმდენად უნდა განვიხილოთ დემოგრაფია ამ მეცნიერების ერთობლიობაში, რითაც სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები განისაზღვრება.

ნაშრომის მეცნიერული სიახლეა ასევე დემოგრაფიის პოლიტიკური ასპექტების ჩამოყალიბება ეროვნული პოლიტიკის მდგრადობის კუთხით. ამ რაკურსიდან შემუშავებული დემოგრაფიული განვითარების სტარტეგია იქნება ორიენტირებული ქვეყნის სწორ განვითარებაზე. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგვიძლია განვსაზღვროთ დემოგრაფიული პოლიტიკა სახელმწიფო უსაფრთხოების ერთ-ერთ ფაქტორად.

**ნაშრომის თეორიული** და **პრაქტიკული მნიშვნელობა**

სადისერტაციო ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ ნაშრომი საყურადღებო იქნება არა მხოლოდ ქართველი მეცნიერებისთვის, არამედ საერთაშორისო ექსპერტებისთვის. მასში განხილული და დამუშავებული იქნა საკმაოდ ვრცელი თეორიული ბაზა და კვლევების საფუძველზე დასაბუთებული იქნა

ახალი ჰიპოთეზა, რომელიც შესაძლოა სხვა მკველვარებისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს.

პრაქტიკული მნიშვნელობა გამოიხატება იმით, რომ ნაშრომი, როგორც სასწავლო სახელმძრავნელო, დახმარებას გაუწევს უმაღლეს სასწავლებლებს კონკრეტული ცოდნის მიღებისას. რაც მთავარია, ნაშრომი, როგორც ერთგვარი გზამკვლევი, შესაბამისი სტრუქტურებისთვის და მთლიანად სახელმწიფოსთვის, იქნება ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის მთავარი საყრდენი – ქვეყანაში კეთილგონივრული დემოგრაფიული პოლიტიკის გასატარებლად.

**ლიტერატურის მიმოხილვა**

წინამდებარე სამეცნიერო ნაშრომში მიმოვიხილეთ როგორც ქართველი, ისე უცხოელი მეცნიერების ნამუშევრები:

ჰენრი კუპრაშვილის მონოგრაფია „საქართველოს ეროვნული უშიშროება“ იყო ძირითადი სახელმძღვანელო ჩვენთვის, რამაც მოგვცა საშუალება, ეროვნული უშიშროების საკითხები სრულად შეგვესწავლა და გვეპოვა კავშირი დემოგრაფიულ პოლიტიკასთან. აქვე გავეცანით ტერმინოლოგიების განმარტებებსაც.[6]

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი დაგვეხმარა ტერმინოლოგიის განმარტებების მოძიებაში.[7]

მერაბ ხმალაძის „მოსახლეობის სტატისტიკა დემოგრაფიის საფუძვლებით“,რომელიც განკუთვნილია სტუდენტებისთვის, საგულისხმო აღმოჩნდა წინამდებარე ნაშრომისთვის, სტატისტიკის მეთოდოლოგიის თვალსაზრისით. ხმალაძის სახელმძღვანელოში დემოგრაფიული მეცნიერების

---

[6] კუპრაშვილი ჰ. საქართველოს ეროვნული უშიშროება, მონოგრაფია. თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი, 2022

[7] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. გამომცემლობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, 1986

თეორიების ღრმა ანალიზს გავეცანით და კონკრეტული ფაქტები გამოვიყენეთ ჩვენს კვლევაში.[8]

„დემოგრაფიული კატეგორიები და კანონები“ - სამეცნიერო ნაშრომი ეკუთვნის ქართველ მეცნიერთაგან ერთ-ერთ გამორჩეულად ღვაწლმოსილ მეცნიერს, ლეო ჩიქავას. მისი ნაშრომები საფუძვლად უდევს ქართულ დემოგრაფიულ მეცნიერებას. ამ კონკრეტულ ნაშრომშიც საუბარია დემოგრაფიულ კატეგორიებსა და კანონებზე, რაც შემხებლობაშია სხვადასხვა მეცნიერებასთან. ლეო ჩიქავას სამეცნიერო კვლევები დაგვეხმარა ჩვენი ნაშრომის ჰიპოთეზის თეორიულ განხილვებში.[9]

ჩიქავა ლ, ლორთქიფანიძე ვ. სახვაძე ა. „ადამიანური რესურსები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შრომები, საქართველოს ბუნებრივი რესურსები“- სამი ავტორის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო გადმოსცემს ადამიანური კაპიტალის შესახებ სამეცნიერო კვლევებით დადასტურებულ მოსაზრებებს დემოგრაფიული უსაფრთხოების საკითხებში. ადამიანური რესურსები და ადამიანური კაპიტალის თეორიები ჩვენი სამეცნიერო ნაშრომის ერთ-ერთი ქვეთავია და აქედან გამომდინარე, აღნიშნული სახელმძღვანელო იყო ერთგვარი გზამკვლევი ჩვენთვის.[10]

ბორისოვი ვ. დემოგრაფია. ა. სახვაძის ქართული თარგმანი კომენტარებით - ეს არის ს. ბორისოვის წიგნი, რომელიც ანზორ სახვაძემ თარგმნა. ანზორ სახვაძეს საინტერესო ნაშრომები აქვს დემოგრაფიაში და ის ძირითადად მუშაობს მოსახლეობის აღწარმოების თემებზე. კონკრეტული სახელმძღვანელოც სრულყოფილად მიმოიხილავს დემოგრაფიულ მეცნიერებას, მის ყველა თეორიასა და დოქტრინას. ჩვენს სამეცნიერო ნაშრომშიც სწორედ ანზორ სახვაძის მიერ ნათარგმნი და ერთად თავმოყრილი დოქტრინები მიმოვიხილეთ.[11]

---

[8] ხმალაძე მ. მოსახლეობის სტატისტიკა დემოგრაფიის საფუძვლებით, თბილისი, 2010

[9] ჩიქავა ლ. დემოგრაფიული კატეგორიები და კანონები. თბილისი, 2002 წ.

[10] ჩიქავა ლ., ლორთქიფანიძე ვ., სახვაძე ა. ადამიანური რესურსები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შრომები, საქართველოს ბუნებრივი რესურსები, ტ. II. თბილისი, 2015 წ.

[11] ბორისოვი ვ. დემოგრაფია. ა. სახვაძის ქართული თარგმანი კომენტარებით. თბილისი, 2001 წ.

წულაძე გოგი - „მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი“. წიგნში ავტორი გადმოგვცემს ყველა იმ ტერმინის განმარტებას, რაც გვხვდება დემოგრაფიაში, ყველა მიმართულებით. ზოგადად, განმარტებითი ლექსიკონის გამოყენებას სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობისას დიდი მნიშვნელობა აქვს. წულაძის „მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი“ საჭირო სახელმძღვანელოა ამ თემაში მომუშავე ყველა მკვლევარისთვის.[12]

შელია მ. – „ხალხთმოსახლეობის ეკონომიკა და დემოგრაფია“, სალექციო კურსი. შელიას სახელმძღვანელო დაგვეხმარა ეკონომიკასა და დემოგრაფიას შორის მჭიდრო კავშირის დადგენაში, სოციალურ-ეკონომიკური საკითხების განხილვასა და ჩვენი ჰიპოტეზის ჩამოყალიბებაში.[13]

შელია მ.- „მოსახლეობის დაბერება საქართველოში“ ჩვენს სამეცნიერო ნაშრომში დაბერების პოლიტიკის განხილვისას ძირითადად დავეყრდენით გიორგი მელაძის და მიხეილ შელიას სამეცნიერო ნაშრომებს. „მოსახლეობის დაბერება საქართველოში“ სწორედ ერის დაბერების დინამიკაზე, გამომწვევ მიზეზებსა და მოსალოდნელ შედეგებზე მოგვითხრობს.[14]

წულაძე, მაღლაფერიძე და სულაბერიძე - „დემოგრაფია“, სამი ქართველი მეცნიერის საკმაოდ მოცულობითი წიგნი მოიცავს სრულად, ყველა მასალას დემოგრაფიაზე, მისი საწყისიდან დღემდე. განხილულია დემოგრაფიული მეცნიერების ყველა სოციალური და პოლიტიკური ასპექტი, სრულად არის ჩამოყალიბებული თეორიები. ამ სახელმძღვანელოს გარეშე ნაშრომზე ვერ ვიმუშავებდით. აქ ერთად არის თავმოყრილი ყველა პოლიტიკა, რასაც შეხება აქვს დემოგრაფიულ პოლიტიკასთან.[15]

თოთაძე ა. „მოსალოდნელი დემოგრაფიული კატასტროფა ერმა უნდა აიცილოს“, საქართველოს დემოგრაფიული ისტორიის რესტროსპექტივაზე მუშაობისას, სრულად გამოვიყენეთ დემოგრაფ-ისტორიკოსის ანზორ თოთაძის ნაშრომი. გამომდინარე

---

[12] წულაძე გ. მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბილისი: UNFPA Georgia, 2000.
[13] შელია მ. ხალხთმოსახლეობის ეკონომიკა და დემოგრაფია, სალექციო კურსი, თბილისი 2007
[14] შელია მ. მოსახლეობის დაბერება საქართველოში. თბილისი, 1999წ.
[15] წულაძე, მაღლაფერიძე და სულაბერიძე, დემოგრაფია, თბილისი 2007.

იქედან, რომ ანზორ თოთაძე იკვლევს საქართველოს დემოგრაფიულ ისტორიას, მისი სახელმძღვანელოების დიდი ნაწილიც სწორედ დემოგრაფიულ ისტორიას ეძღვნება. ძალიან საინტერესოა მის მიერ მოყვანილი ციფრები და სიღრმისეული ანალიზი საქართველოს დემოგრაფიული განვითარების შესახებ. ავტორს წიგნში სრულად აქვს წარმოდგენილი გაეროს მოსახლეობის ფონდის კვლევები და აქედან გამომდინარე, ჩამოყალიბებული აქვს ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების პროგნოზები.[16]

მელაძე გ. – „საქართველო და გლობალური დემოგრაფიული პროცესები". „დაბერების პოლიტიკა" დემოგრაფიული პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრესი ნაწილია. მელაძის წიგნში საუბარია ერის დაბერების გამომწვევ მიზეზებზე, ამჟამინდელ მონაცემებსა და მოსალოდნელ შედეგებზე. ეს არის ძალზედ საინტრესეო ნაშრომი, რომელიც გამოვიყენეთ არა მარტო ჩვენ, არამედ, ამ ნაშრომზე დაყრდნობით შეიმუშავა დაბერების პოლიტიკის დოკუმენტი საქართველოს პარლამენტმა 2016 წელს.[17]

ლორთქიფანიძე ვაჟა - „დემოლოგია". ქართულ სამეცნიერო წრეში, ბოლო მოცულობითი ნაშრომი გამოიცა აკადემიკოს ვაჟა ლორთქიფანიძის მიერ. ვაჟა ლორთქიფანიძე თავის წიგნში „დემოლოგია" (მეცნიერი ამ ტერმინს იყენებს ტერმინ **დემოგრაფიის** ნაცვლად), ყურადღებას ამახვილებს დემოლოგიური პროცესების ზეგავლენაზე სამყაროს განვითარების პროცესებში. ვაჟა ლორთქიფანიძის ნაშრომი არის სიღრმისეული კვლევა დემოგრაფიული მეცნიერების და ასევე პოლიტიკის შესახებ. ამ წიგნში თითქმის ყველა კითხვაზე არსებობს პასუხი.[18]

ლორთქიფანიძე ვ. თოთაძე ა. „ერი ერმა უნდა გადაარჩინოს, დემოგრაფიული ვითარება საქართველოში". წიგნი მეცნიერულ-პოპულარული ხასიათისაა და მასში დეტალურად არის გადმოცემული სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხები დემოგრაფიული პოლიტიკიდან გამომდინარე, რაც ჩვენი კვლევისთვის ზედმიწევნით სასარგებლო იყო. კონკრეტულ ნაშრომში გაშუქებულია ქართველი ერის ერთ-ერთი

---

[16] თოთაძე ა. „მოსალოდნელი დემოგრაფიული კატასტროფა ერმა უნდა აიცილოს", გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი 2013.
[17] მელაძე გ. საქართველო და გლობალური დემოგრაფიული პროცესები. თბილისი, 2013 წ.
[18] ლორთქიფანიძე ვაჟა, დემოლოგია. თბილისი 2018.

უმწვავესი პრობლემა - მოსახლეობის შობადობის, მოკვდაობის, ეროვნული შემადგენლობის, ასაკობრივი და სქესობრივი სტრუქტურის, ქვეყნის დემოგრაფიული უსაფრთხოების უზრუნველყოფის და სხვა საკითხები.[19]

წულაძე გ. სულაბერიძე **ა. –** „დემოგრაფიის საფუძვლები“. ეს წიგნი არის ძველი ნაშრომის ახალი გამოცემა და ჩვენც ორივე ნაშრომი განვიხილეთ. აქ გადმოცემულია დემოგრაფიული მეცნიერების ყველა მნიშვნელოვანი ცნება და დებულება, ასევე, თეორიები. წინამდებარე ნაშრომში დემოგრაფიული დოქტრინების მიმოხილვისას სწორედ წულაძისა და სულაბერიძის წიგნიდან ვიხელმძღვანელეთ.[20]

წიკლაური შ. – „სამხრეთ კავკასიის დემოგრაფიული განვითარება 1950-2050 წლებში“. რადგან ჩვენს სამეცნიერო ნაშრომში ერთ-ერთი ქვეთავი დათმობილი აქვს სამხრეთ კავკასიის დემოგრაფიული სურათის მიმოხილვას და მისი შედეგების ასახვას რეგიონში პოლიტიკურ დომინანტობაზე, შ. წიკლაურის სამეცნიერო ნაშრომი სიღრმისეულად შევისწავლეთ და ვიხელმძღვანელეთ მისი კვლევებით. სამეცნიერო ნაშრომი ეძღვნება სამხრეთ კავკასიის დემოგრაფიული განვითარების დინამიკას გასული საუკუნის მეორე ნახევარში. ნაშრომი ვრცლად მიმოიხილავს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დემოგრაფიულ მდგომარეობას, გადმოსცემს ქავეყნების განვითარების დინამიკას და შესაბამისად, მოსახლეობის ზრდისა და კლების ტემპებს. შორენა წიკლაურის სიღრმისეული შედარებითი ანალიზი დაგვეხმარა მართებულად შეგვეფასებინა სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები და მოსალოდნელი შედეგები საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული კლების ხარჯზე. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, ნათლად ჩანს თუ რა საფრთხის წინაშე დგას ჩვენი ქვეყანა.[21]

---

[19] ლორთქიფანიძე ვ. თოთაძე ა. ერი ერმა უნდა გადაარჩინოს. დემოგრაფიული ვითარება თანამედროვე საქართველოში. თბილისი, 2007 წ.

[20] წულაძე გ., სულაბერიძე ა., დემოგრაფიის საფუძვლები. თბილისი, 2015წ.

[21] წიკლაური შ. სამხრეთ კავკასიის დემოგრაფიული განვითარება 1950-2050 წლებში, სადოქტორო პროგრამა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2017

თოთაძე ა. – „კავკასიის მოსახლეობა“. ნაშრომი ეძღვნება არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიის, არამედ, ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობის დემოგრაფიულ ისტორიას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოსებისა და აფხაზების დემოგრაფიული განვითარების ისტორიები და ამჟამინდელი ვითარების ანალიზი, რომელიც ჩვენს კვლევაშიც გვაქვს გამოყენებული.[22]

სულაბერიძე ა.- „ამიერკავკასიისა და საქართველოს დემოგრაფიული განვითარება“. ამ წიგნშიც, მსგავსად ანზორ თოთაძის წიგნისა, გადმოცემულია ამეირკავკსაიის და საქართველოს დემოგრაფიული განვითარების შედარებითი ანალიზი.[23]

შელია მ. – „მოსახლეობის დაბერება საქართველოში“. წიგნში განხილულია ქვეყნის რეგიონების დემოგრაფიული განვითარების და დემოგრაფიული დაბერების ტენდენციები. ძირითადი აქცენტებია გაკეთებული დემოგრაფიული დაბერების სტრუქტურულ თავისებურებებზე. გაკეთებულია შედარებითი ანალიზი ევროკავშირის და პოსტ-საბჭოთა ქვეყნების. დემოგრაფიული უსაფრთხოებიდან გამომდინარე, არსებითი ყურადღება აქვს დათმობილი მეორე დემოგრაფიული კაპიტალის გამოყენებას, განსაკუთრებით, დეპოპულაციის მქონე რაიონებში.[24]

გამახარია ჯ. – „აფხაზეთი და მართლმადიდებლობა“. წიგნში გადმოცემულია ცნობები აფხაზეთის შესახებ, ისტორიული ფაქტები და მართლმადიდებლობის ქრონიკები აფხაზეთში. აღნიშნული ნაშრომი დაგვეხმარა ჩვენი კვლევის მესამე თავში შიდა ეთნო-კონფლიქტების განხილვისას და მოგვცა მნიშვნელოვანი სტატისტიკური ინფორმაციები.[25]

გუგუშვილი პ. – „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება“. ტ. I. წიგნში საუბარია ამიერკავკასიის ტრანზიტზე და მის მნიშვნელობაზე საერთაშორისო ვაჭრობაში: შიდა და გარე ვაჭრობაზე, ვაჭრობის სოციოლოგიაზე,

---

[22] თოთაძე ა. კავკასიის მოსახლეობა, თბილისი 1998

[23] სულაბერიძე ა. ამიერკავკასიისა და საქართველოს დემოგრაფიული განვითარება“, 1996.

[24] შელია მ. მოსახლეობის დაბერება საქართველოში, თბილისი, 1999.

[25] გამახარია ჯ. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა. თბილისი, 2005;

ქვეყნის ეკონომიკური ევოლუციის პრობლემებზე. აღნიშნული ნაშრომი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი აღმონდა ჩვენთვის საქართველოს ახალი გეოპოლიტიკური როლის განხილვისას.[26]

წინამდებარე სამეცნიერო ნაშრომში გამოყენებული გვაქვს საქართველოს მთავრობის დადგენილებები და საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონები:

1. კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცენე 010110020.05.001.017881;
2. საქართველოს მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია;
3. საქართველოს რეპუბლიკის 2017 წლის კონსტიტუციური კანონი N1324 ვებგვერდი, მუხლი 5, სოციალური სახელმწიფო;
4. საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია, საქართველოს პარლამენტის დადგენილება 5586-II ს, შესავალი
5. საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია, საქართველოს მთავრობის დადგენილება N622 1.14.MB;
6. პოლიტიკის კონცეფცია, საკანონმდებლო მაცნე 010240020:09.01.016348, პარლამენტის დადგენილება, 27.05.2016;
7. საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 000000000.00.003.016887;

უსაფრთხოების საკითხებში ძირითადად დავეყრდენით უცხოელი მეცნიერების ნაშრომებს, მათ შორის: ლიპმანის „საგარეო პოლიტიკა“, ბოლდვინის „უსაფრთხოების კონცეპტუალური ხედვები“, ვოლფერის „ ეროვნული უსაფრთხოება“ და ბარი ბუზანის „საერთაშორისო უსაფრთხოება“. ამ მეცნიერთა ნამუშევრები არის მათივე

[26] გუგუშვილი პ. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება. ტ. I. თბილისი, 1994

თეორიებზე აგებული. ჩვენს სამეცნიერო ნაშრომში ოთხივე მეცნიერის თეორია გამოვიყენეთ.[27]

სამეცნიერო ნაშრომი ეხება დემოგრაფიული თეორიების განხილვას და თანამედროვეობის უმთავრესი პოლიტიკური საკითხების ანალიზს. ავტორი გვთავაზობს არსებული დემოგრაფიული პრობლემების ანალიზს  მოსახლეობის პოლიტიკური განვითარების ფონზე და ცდილობს დაასაბუთოს დემოგრაფიის არსებითი მნიშვნელობა ქვეყნის პოლიტიკური განვითარების კუთხით. კონკრეტული ნაშრომი ვთარგმნეთ და სიღრმისეულად გამოვიყენეთ ჩვენს კვლევაში უცხოელი მეცნიერების მიერ შემუშავებული თეორიები.[28]

„ჰიბრიდული ომის“ კვლევის მიზნით ნაშრომში გამოვიყენეთ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ყოფილი ოფიცრის ფრენკ ჰოფმანის სტატიათა ციკლი და წიგნი: „კონფლიქტი XXI საუკუნეში - ჰიბრიდული ომის აღზევება“, „ჰიბრიდული ომების გამოწვევები“, „ჰიბრიდული ომი vs კომბინირებული ომი“ **Frank Hoffman.**[29] ჰოფმანმა წარსულის კონფლიქტებისა და ახალი თაობის ომების შესახებ არსებული უახლესი თეორიების ანალიზის შედეგად ჩამოაყალიბა თეორია ჰიბრიდული ომის შესახებ, რომელიც შემდგომ წლებში კიდევ უფრო დაიხვეწა და განვითარდა. მოცემულ სტატიებსა და წიგნში მთელი სიღრმით არის მიმოხილული ჰიბრიდული ომის წარმოშობის წინაპირობა, გაანალიზებულია ომის სხვადასხვა ტიპი და თანამედროვე მსოფლიოში ჰიბრიდული ომის ზეგავლენის შედეგები.

„ჰიბრიდული ომის“ შესახებ მნიშვნელოვანი ნაშრომია წარმოდგენილი ტ. ჰუბერტის წიგნში „კომბინირებული ომი – ფატალური კვანძი“, სადაც ავტორი

---

[27] Lippman, W. (1944). U.S.Foreign Policy. London. Hamish Hamilton;
Baldwin, D. (1945) The concept of Security. Review of International studies 23: 5-26; Wolfers, A. (1952). National Security as a Ambiguius Symbol. Political Science Quarterly 67(4): 481-502;
Buzan, B. and L. Hansen (2009). The Evolution of International Security Studies. Cambridge, Cambridge University Press.

T.K. Burch, Demography in a New Key: A Theory of Population Theory
[28] T.K. Burch, Demography in a New Key: A Theory of Population Theory, Boston, 2018
[29] "Hybrid vs Compound war". Armed forces journal, 2009. Hybrid Warfare and Challanges. Small War Journal, 2009.

გვთავაზობს „კომბინირებული ომის“ საგულისხმო განმარტებას. წიგნში მოცემულია აღნიშნული ომის წარმოების ისტორიული მაგალითები.[30] ჰუბერტი აღნიშნავს, რომ კომბინირებული ომი, როგორც ნაზავი რეგულარული და არარეგულარული ნაწილების სინქრონიული მოქმედებისა ერთ საბრძოლო თეატრში, ძლიერ ახლოს დგას ჰიბრიდულ ომთან. ავტორი დეტალურად განიხილავს ამ ორ ომს შორის სხვაობასა და მსგავსებას, და ასკვნის, რომ „ჰიბრიდული ომი“ ახალი მსოფლიო ომების მეთოდი და სტრატეგიაა, რის შედეგადაც საბოლოო შედეგი შესაძლოა გრძელვადიანი პერსპექტივით უფრო ფატალური მივიღოთ, ვიდრე უშუალოდ შეიარაღებული ომისას.[31]

აღნიშნული ნაშრომში მნიშვნელოვანი იყო მასში წარმოდგენილი კვლევები და ანალიზი. წიგნში სრულად არის გადმოცემული დემოგრაფიული მეცნიერების თეორიები და მეცნიერთა მოსაზრებები. სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობისას ერნესტო ამარალის წიგნი ნაყოფიერად გამოვიყენეთ თეორიული კვლევებისთვის. ნაშრომი გვთავაზობს დემოგრაფიულ თეორიებს და დოქტრინებს.[32]

Herris JR, Todaro MP. “Migration, unemployment and development: A two-sector analysis. “The American Economic Review - წიგნი გადმოგვცემს სიღრმისეულ კვლევებს შრომით მიგრაციაზე, მიგრაციის მიზეზებზე და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. მიგრაცია ერთ-ერთი მსხვილი დემოგრაფიული პრობლემაა დღეს მსოფლიოს უმეტესი ქვეყნებისთვის, მათ შორის, საქართველოსთვის. მეცნიერული ნაშრომებიც ამ მხრივ მრავლად მოიპოვება, თუმცა, ჰერისა და ტორადოს ნაშრომი შრომით მიგრაციაზე, როგორც სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის უარყოფითი შედეგი, დაგვეხმარა ჩვენს სამეცნიერო ნაშრომში სწორად განგვესაზღვრა მიგრაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები საქართველოს მიგრაციული პოლიტიკის

[30] Thomas M Huber. Compound Warfare. Leavenworth: U.S. Army Command and General Staff College Press, 2002.
[31] Theories of demography Ernesto F. L. Amaral, 2018 Population and Society.
[32] Theories of demography Ernesto F. L. Amaral, 2018

განხილვისას. მართალია, აღნიშნული წიგნი ამერიკის ეკონომიკაში მიგრაციის ზეგავლენაზე მოგვითხრობს, თუმცა, საყურადღებოა საქართველოს ჭრილშიც.[33]

Braid V. World population - ჩვენს ნაშრომში გამოყენებული მონაცემები მსოფლიო მოსახლეობის სტატისტიკური მონაცემების შესახებ, სწორედ ამ ნაშრომიდან არის აღებული. წიგნი ვრცლად მოგვითხრობს მსოფლიოს მოსახლეობის შესახებ, მოცემულია სტატისტიკური მონცემები, რითაც გადმოცემულია მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის და კლების დინამიკა სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით. მართალია, ეს 2009 წლის მონაცემებია, თუმცა, შედარებისთვის გამოვიყენეთ ბოლო სტატისტიკურ მონაცემებთან, რათა გაგვეკეთებინა ანალიზი მოსახლეობის ზრდის ან კლების დინამიკის შესახებ.[34]

Massey DS, Arango J, Hugo G, Kouaouci A, Pellegrino A, Taylor JE. " An evaluation of international migration theory, Population and Development Review - სამეცნიერო ნაშრომში მოცემულია სიღრმისეული ანალიზი მსოფლიო მიგრაციის შესახებ: საით მიედინება მიგრაციული ნაკადები, რას ნიშნავს „ევროპული სტილის მიგრაცია", რას უქადის ამ სახის მიგრაცია მსოფლიოს და როგორი იქნება მცირე ერების განვითარების დინამიკა მოსახლეობის მოძრაობის ფონზე. ნაშრომი საინტერესოა იმ მხრივ, რომ გადმოსცემს თანამედროვე მიგრაციის ტიპებს და იქვე გვაძლევს ანალიზს, თუ რა შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს თითოეული მათგანი. საერთაშორისო მიგრაციული თეორიები ჩვენს ნაშრომში სიღრმისეულად გვაქვს მიმოხილული.[35]

Laurent Murawiec and David Adamson, Demography and Security Proceedings - ეს ნაშრომი განსაკუთრებულად შევისწავლეთ, რადგან სწორედ ჩვენი სამეცნიერო ნაშრომის ძირითად საკითხს ეხება - უსაფრთხოების და დემოგრაფიული პოლიტიკის კავშირს. ეს დღეს როგორც დასავლეთის, ასევე საქართველოს უმთავრესი პრობლემაა.

---

[33] Herris JR, Todaro MP. "Migration, unemployment and development: A two-sector analysis. "The American Economic Review, 2011

[34] Braid V. World population. 2009, Oxford, UK

[35] Massey DS, Arango J, Hugo G, Kouaouci A, Pellegrino A, Taylor JE. " An evaluation of international migration theory, 2011 Population and Development Review

განსაკუთრებით ეს პრობლემა აწუხებს ევროპულ სახელმწიფოებს, სადაც ტიტულოვანი ერები ცხოვრობენ და სხვა მრავალრიცხოვანი ერების მიგრაციული პროცესების შედეგად, თავიანთ ქვეყნებში, შესაძლოა სერიოზული პრობლემები დაუდგეთ.[36]

Udry R. J. The nature of gender. – Demography. წიგნი ეხება ქალისა და მამაკაცის დემოგრაფიულ ქცევას, სქესობრივ განვითარებას და გენდერულ პოლიტიკას. ავტორი გვთავაზობს რამდენიმე თეორიას დემოგრაფიული ქცევის საკითხებში და აქვე აკეთებს ანალიზს მისსავე გაკეთებული ემპირიული კვლევების საფუძველზე. რიჩარდ უდრი მიიჩნევს, რომ ფემინისტური მოძრაობა დემოგრაფიულ პოლიტიკასთან თანხვედრაში არ არის. ქალისა და მამაკაცის დემოგრაფიული ქცევა განისაზღვრება გენდერული პოლიტიკით და საერთო ჯამში უკავშირდება ოჯახურ მენტალიტეტს. რიჩარდ უდრის ეს მიგნება თანხვედრაშია ჩვენი კვლევის ერთ-ერთ მთავარ კითხვასთან - რა კავშირი აქვს დემოგრაფიულ პოლიტიკას გენდერულ პოლიტიკასთან და განსაზღვრავს თუ არა ოჯახური ღირებულებების დაცვა დემოგრაფიულ უსაფრთხოებას ქვეყანაში?[37]

Vallin J. Mortalité, sexe et genre - მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს სამეცნიერო ნაშრომში ჯანდაცვის საკითხები მხოლოდ ზოგად ჭრილში გვაქვს გაანალიზებული, ქალთა ფერტილობას მცირედი ადგილი მაინც დავუთმეთ. ვილიან მორტალიტის ნაშრომი არის ოქსფორდის უნივერსიტეტის გამოცემა და ეხება ქალთა ფერტილობის საკითხებს ეთნიკური ნიშნით. ნაშრომი არის საინტერესო იმით, რომ გადმოგვცემს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, რაც ქალთა ფერტილობის დაქვეითებაში გამოიხატება.[38]

Московский В. Географическая картина мира. რუსი მეცნიერი მსოფლიო გეოგრაფიულ სურათს განიხილავს მოსახლეობის დემოგრაფიული მონაცმების

---

[36] Laurent Murawiec and David Adamson, Demography and Security Proceedings of a Workshop Paris, France November 2000

[37] Udry R. J. The nature of gender. – Demography. 1994

[38] Vallin J. Mortalité, sexe et genre. Liège. IUSSP. 1999

მიხედვით და აკეთებს პროგნოზებს სხვადასხვა კონტინეტის დემოგრაფიული განვითარების მიხედვით. მოსკოვსკის წინასწარი გათვლები თანხვედრაშია ქართველი დემოგრაფების მოლოდინებთან. შედარებითმა ნალიზმა ეს დაადასტურა და მოგვცა საშუალება, საერთო სურათი დაგვენახა.[39]

Бачи Масимо. Демографическая история Европы. ნაშრომი ასახავს ევროპული სახელმწიფოების დემოგრაფიულ ისტორიას, საუკუნეების მიხედვით ეროვნებების ზრდის და კლების ტენდენციას და მის გამომწვევ მიზეზებს. ავტორს საინტერესოდ აქვს გადმოცემული უძველესი კულტურის მქონე ევროპული ერების დემოგრაფიული განვითარების ისტორია და საინტერესო თეზისებს აყალიბებს ევროპული ერების გენოფინდის შესახებ. ნაშრომში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ევროპულ სახელმწიფოებში მოსახლეობის ზრდის ტენდენციებს ისტორიული ფასეულობების შენარჩუნების მიხედვით. ყურადღებაა ასევე გამახვილებული რელიგიურ კულტურაზე და გლობალიზაციის ნეგატიურ როლზე. აღნიშნული ნაშრომი ნაყოფიერად გამოვიყენეთ ჩვენს კვლევაში.[40]

მალთუსი თ.- „გამოცდილება ხალხთმოსახლეობის კანონის შესახებ“. „მტრები, რომელსაც მე ვებრძვი, მანკიერება და სიღატაკეა“ - ეს არის თომას მალთუსის პრინციპი და მთელი მისი მეცნიერული შემოქმედება ამ იდეის ირგვლივ ტრიალებს. წიგნშიც სწორედ ამ შეხედულების ირგვლივ არის მსჯელობა. თომას მალთუსის მეცნიერული თეორიები სრულად გავქვს გამოყენებული წინამდებარე ნაშრომში.[41]

**ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა**

წინამდებარე ნაშრომი შედგება შესავალის, 3 თავის, 9 ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან, სულ 157 გვერდი.

---

[39] Московский В. Географическая картина мира. Книга 1 Москва. 2004

[40] Бачи Масимо. Демографическая история Европы. С Петербург. 2010

[41] მალთუსი თ. გამოცდილება ხალხთმოსახლეობის კანონის შესახებ. I ტ. თბილისი, 2004 წ.

# ნაშრომის ძირითადი შინაარსი

**თავი 1. დემოგრაფიული პოლიტიკის, როგორც სახელმწიფო უსაფრთხოების ფაქტორის თეორიულ-ისტორიული ჩარჩო.**

1.1.**სახელმწიფო უსაფრთხოება და დემოგრაფია;**

**1.2.დემოგრაფიული პოლიტიკის, როგორც სახელმწიფო უსაფრთხოების განმსაზღვრელი ფაქტორის თეორიული ხედვა და დოქტრინები;**

**1.3.საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ისტორიული რეტროსპექტივა და მისი ზეგავლენა პოლიტიკურ პროცესებზე;**

სამეცნიერო ნაშრომის **პირველ თავში** გადმოცემულია დემოგრაფიული პოლიტიკის, როგორც სახელმწიფო უსაფრთხოების ფაქტორის თეორიულ-ისტორიული ჩარჩო. ეს თავი სრულად მოიცავს პოლიტიკურ დოკუმენტებს, რაც კი არის დღემდე შემუშავებული უსაფრთხოებისა და დემოგრაფიული პოლიტიკის მიმართულებით როგორც მსოფლიოს, ასევე საქართველოს მასშტაბით. მიმოიხილავს მეცნიერულ თეორიებსა და დოქტრინებს, გვთავაზობს საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ისტორიულ რეტროსპექტივას და მის ზეგავლენას პოლიტიკურ პროცესებზე;

**პირველი თავის პირველი ქვეთავში** დემოგრაფიული მეცნიერების მიმოხილვამდე, მიმოვიხილეთ დემოგრაფიული პროცესის პოლიტიკურ-სამართლებრივი ურთიერთობების და სახელმწიფო უსაფრთხოების კონცეპტუალური ხედვა დემოგრაფიულ პოლიტიკასთან მიმართებით. რამდენადაც საქართველო გაეროს წევრი სახელმწიფოა, თავდაპირველად განვიხილეთ დემოგრაფიული პოლიტიკის როლი მსოფლიო პოლიტიკის უსაფრთხოების საკითხებში. გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ ჩატარებული ერთ-ერთი ბოლო კვლევის მიხედვით, მსოფლიო პოლიტიკის უსაფრთხოების საკითხებში, დემოგრაფიული პოლიტიკის კუთხით, სამი ნეგატიური ტენდენცია გამოიკვეთა:

შობადობის ტენდენციების მკვეთრი სხვაობა განვითარებულ და განვითარებად სახელმწიფოებს შორის; ურბანიზაცია მსოფლიო პოლიტიკის უსაფრთხოების საკითხებში და მესამე საშიშ ტენდენციად გაერო ასახელებს ლტოლვილთა რაოდენობის ზრდას (საზღვრებზე გადაადგილებას).

საქართველო შეუერთდა გაეროს მიერ მირებულ ყველა რეზოლუციას დემოგრაფიული უსაფრთხოების საკითხებში და ამასტანავე, შეიმუშავა ეროვნული დონის პოლიტიკური დოკუმენტები. ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე მათგანზე:

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, სადაც ეროვნული ინტერესების ჩამონათვალში ერთ-ერთი მთავარი საკითხია დემოგრაფიული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს ქვეყანაში დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებასა და ქვეყნის გენოფონდის გადარჩენას. 2019 წელს ცვლილებები შევიდა საქართველოს კონსტიტუციაში, სადაც ასევე ჩაიწერა ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების უზრუნველყოფა.

ამავე ქვეთავში მიმოხილული გვაქვს „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების კანონი“, რომელმაც სერიოზული შედეგები მოგვცა 2014 წლიდან დღემდე: დაიწყო უკუმიგრაცია ქალაქებიდან მაღალმთიან დასახლებებში; გაცოცხლდა დახურული, ანუ გაუკაცრიელებული სოფლები მართალია ამ ეტაპზე მხოლოდ ზაფხულობით, თუმცა ამ ტენდენციის მიხედვით, შესაძლოა მივიდეთ სასურველ შედეგამდე; მაღალმთიან დასახლებებში შეიქმნა მცირე, საშუალო და მსხვილი წარმოებები, რამაც განაპირობა მოსახლეობის ადგილზე დამაგრება და უკუმიგრაცია. მართალია, ჯერჯერობით ეს არ არის ისეთი მასშტაბური, როგორიც ჩვენ გვსურს, მაგრამ შედეგი გვაქვს. მაგალითად, დუშეთის მუნიციპალიტეტში 700-მდე ოჯახი დაუბრუნდა ფუძეს.

პოლიტიკური დოკუმენტებიდან მიმოვიხილეთ „საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია“, რომელიც მომზადდა პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მიერ 2016 წელს. ეს კონცეფცია განსაზღვრავს

საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკის მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებსა და ძირითად მიმართულებებს. იგი არის ორიენტირი საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებისათვის.

საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია არის პოლიტიკური დოკუმენტი, რომელიც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება, მათ შორის, დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში. დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფციაში გარკვევით არის ჩაწერილი, რომ „სახელმწიფო მზად არის, კონფლიქტების მხარეების სურვილის შემთხვევაში, ერთობლივი კვლევებისა და მუშაობის შედეგად, ყველა დემოგრაფიული ინიციატივა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოქალაქეებისთვისაც განხორციელდეს“.

აქვე განვიხილეთ საქართველოს მთავრობის მიერ 2015 წელს დამტკიცებული მიგრაციის სტრატეგია, რომელიც ორიენტირებულია საერთაშორისო მიგრაციაზე და მოიცავს ისეთ პრიორიტეტულ სფეროებს, როგორებიცაა: ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა, არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლა, თავშესაფრის სისტემის განვითარება, მიგრაცია და განვითარება, მიგრაციის მართვის გაუმჯობესება, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება.

აქვე განხილული გვაქვს ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც საქართველოს მთავრობამ 2014 წელს მიიღო.

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „საქართველოში დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის“ შესახებ. ეს კონცეფცია არის მსხვილი პოლიტიკური დოკუმენტი, რომელიც მომზადდა საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მიერ“. ამ კონცეფციის საფუძველზე 2017 წელს საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის 2017-2018 წლების ეროვნული გეგმა“.

**პირველი თავის მეორე ქვეთავში** სიღრმისეულად გვაქვს მიმოხილული

უსაფრთხოებისა და დემოგრაფიული მეცნიერების თეორიები და დოქტრინები: ბარი ბუზანის, დავით ბოლდვინის, არნოლდ ვოლფერსის უსაფრთხოების თეორიები; ჰიბრიდული ომის თაობაზე ფრენკ ჰოფმანის ცნობილი თეორია და ნაშრომი.

ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში „ჰიბრიდული ომის“ თეორია იმ მიზნით გამოვიყენეთ, რომ დემოგრაფიული პოლიტიკის წინააღმდეგ გლობალიზაციის პერიოდში, სწორედ ჰიბრიდული ომის ერთ-ერთ მძლავრ იარაღად იქნა გამოყენებული დეზინფორმაცია და საინფორმაციო ომი. ახალგაზრდებს, რომლებიც მოხიბლულნი იყვნენ ლიბერალიზმის უკიდეგანო თავისუფლებით, ამ დეზინფორმაციით ზრდიდნენ, არადა, სწორედ ახალგაზრდობაა მთავარი რეპროდუქციული სეგმენტი შობადობის ზრდისა და სრულყოფილი დემოგრაფიული თაობების მისაღებად.

დემოგრაფიული მეცნიერებიდან მიმოვიხილეთ აშილ გიიარის, ჯონ გრაუნტის, ედმუნდ ჰალეის და თომას მალთუსის თეორიები. ასევე ლოტკას, გენეზისის, არისტოტელეს, კონფუცის, ციცერონის, იბნ ხალდუნის და სხვათა დოქტრინები.

ჩვენს მიერ მიმოხილული თეორიული ბაზა საკმაოდ ვრცელია და შესაბამისად, მოცულობით ეს ქვეთავი გამოირჩევა.

**პირველი თავის მესამე ქვეთავში** მიმოვიხილეთ საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ისტორიული რეტროსპექტივა და მისი გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე. დავრწმუნდებით, რომ სახელმწიფოს სიძლიერე ფეხდაფეხ მიჰყვება მოსახლეობის რაოდენობას. ქვეყანა სწორედ იმ წლებში იყო ძლიერი, როდესაც მას მრავალრიცხოვანი მოსახლეობა ჰყავდა.

ამ ქვეთავში ძირითადად განვიხილეთ სტატისტიკური მონაცემები, რომელიც მომზადებული იყო ქართველი დემოგრაფების მიერ. ისინი აღნიშნავენ, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ქართველურ ტომებზე სიღრმისეული ცნობები არ მოგვეპოვება, თუმცა, დღემდე მოღწეული ისტორიული წყაროების მიხედვით, ზოგიერთ პროვინციაში მრავალრიცხოვანი ქართველური ტომები ცხოვრობდნენ.

მიმოხილული გვაქვს საქართველოს ისტროიის მე-13, მე-19 და მე-20 საუკუნეები, როგორც დემოგრაფიული წინსვლის პერიოდი, ხოლო მე-18 საუკუნის ბოლო, როგორც დემოგრაფიული კატასტროფის პერიოდი. ამ ქვეთავში თვალნათლივ არის წარმოჩენილი, თუ როგორ ვითარდებოდა საქართველო საუკუნეების განმავლობაში მოსახლეობის ზრდის ან კლების ფონზე.

**თავი 2. დემოგრაფიული პროცესების სამართლებრივ-პოლიტიკური რეგულირების მექანიზმები**

**2.1. დემოგრაფიული უპირატესობა, როგორც სამხრეთ კავკასიის რეგიონული ლიდერობის წინაპირობა;**

**2.2. ადამიანური კაპიტალის კონცეფცია და დემოგრაფიული პრობლემის გადაჭრის პერსპექტივა;**

**2.3. დემოგრაფია და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვა**

სადოქტორო ნაშარომის **მეორე თავი** დავუთმეთ დემოგრაფიული პროცესების სამართლებრივ-პოლიტიკური რეგულირების მექანიზმების განხილვას. ამავე თავის **პირველ ქვეთავში** სრულად მიმოვიხილეთ სამხრეთ კავკასიის, ანუ ჩვენი რეგიონის სახელმწიფოთა დემოგრაფიული სურათი და მისი გავლენა რეგიონის პოლიტიკაზე. აქვე წარმოდგენილია სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მოსახლეობის განვითარების დემოგრაფიული მონაცემები ბოლო ერთი საუკუნის მანძილზე და მოსალოდნელი შედეგები – 2050 წლისთვის. მოცემულია ისტორიული ფაქტები და პოლიტიკური ანალიზი რეგიონში არსებულ დემოგრაფიულ დისბალანსთან დაკავშირებით, კერძოდ, რეგიონში მკვეთრად იზრდება აზერბაიჯანისა და სომხეთის მოსახლეობის რაოდენობა, ხოლო იკლებს საქართველოს მოსახლეობა. მაშინ, როდესაც მეოცე საუკუნის დასაწყისში სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის ყოველი მესამე ჩვენი ქვეყნის მოქალაქე იყო, 2014 წლისთვის უკვე ყოველი მეექვსეა.

ქვეთავში წარმოდგენილი გვაქვს გაეროს მიერ გაკეთებული კვლევების შედეგები, რის მიხედვითაც სამხრეთ კავკასიაში ირღვევა ისტორიულად

ჩამოყალიბებული დემოგრაფიული ბალანსი, რაც ნეგატიურად აისახება საქართველოს რეგიონალურ პოლიტიკაზე. მოსახლეობის განვითარების ასეთი დინამიკა მიუთითებს იმაზე, რომ საქართველო სამხრეთ კავკასიაში კარგავს დომინანტი სახელმწიფოს როლს, რაც მას ისტორიულად ჰქონდა და აბალანსებდა რეგიონის „ცხელ“ პოლიტიკას.

**მეორე თავის მეორე ქვეთავში** მიმოვიხილეთ ადამიანური კაპიტალის როლი ქვეყნის განვითარებაში. განვიხილეთ ის ფაქტორები, რასაც მეცნიერები ადამიანური კაპიტ ალის ძირითად მდგენელად ინტელექტუალურ კაპიტალს მიიჩნევენ, რომლის ზრდა და ეფექტიანობა განათლებისა და მეცნიერების გარეშე შეუძლებელია. XX საუკუნის ბოლოს განვითარებულმა ქვეყნებმა სახელმწიფოებისა თუ საზოგადოების მთავარ პრიორიტეტად გამოაცხადეს ადამიანი, მისი სულიერი, მატერიალური თუ ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარება.

ქვეთავში ზოგადად მიმოვიხილეთ ადამიანური კაპიტალის თეორიები და მისი წარმოქმნის ფაქტორები როგორც დემოგრაფიულ დოქტრინებში, ისე ადამიანური კაპიტალის ფაქტორებში. ღრმა ანალიზი გავაკეთეთ მალთუსისა და მარქსის თეორიებზე და პარალელები გაგავლეთ თანამედროვეობასთან, სადაც აზრთა სხვადასხვაობა ადამიანური კაპიტალის კიდევ უფრო გაიზარდა.

**მეორე თავის მესამე ქვეთავში** ვიმსჯელეთ დემოგრაფიისა და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვაზე. დემოგრაფია შეიცავს რამდენიმე დარგობრივ მიმართულებას, მათ შორის, სოციალურ-ეკონომიკურ სფეროს. გადმოვეცით საზოგადოების ორი ურთიერთდაპირისპირებული პოზიცია, თუ როგორ არის შესაძლებელი დემოგრაფიული პრობლემების აღმოფხვრა.

ქვეთავში განსაკუთრებით მიმოვიხილეთ დაბერების დინამიკა საქართველოში. ბოლო ერთი საუკუნის მანძილზე სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა საქართველოში განუწყვეტლივ იზრდებოდა. შესაბამისად, იზრდებოდა მოხუცებულთა რიცხვი, შრომისუნარიან მოსახლეობასთან მიმართებით. XIX საუკუნის ბოლოს 1000 შრომისუნარიან მოქალაქეზე მოდიოდა 136 მოხუცი, XX

საუკუნის შუა ხანებში – 184, ხოლო 2014 წელს – 304 მოხუცი. მომავალში, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გაზრდის შედეგად, კიდევ უფრო გაიზრდება ეს მაჩვენებელი და, შესაბამისად, გაიზრდება მოხუცთა შენახვაზე გაწეული ხარჯები, რაც მძიმე ტვირთად დააწვება ქვეყნის ეკონომიკას.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ იმავე XIX საუკუნის ბოლოს ბავშვების რაოდენობა 703 ათასით სჭარბობდა მოხუცების რაოდენობას, XX საუკუნის შუა ხანებში – 741 ათასით, ხოლო 2014 წელს უკვე მოხუცების რაოდენობა სჭარბობს ბავშვების რაოდენობას – 100 ათასით. დაბერების კოეფიციენტის ზრდას აუცილებლად უნდა მოჰყვეს შობადობის ზრდა.

ქართველ და უცხოელ მეცნიერთა კვლევებით, საქართველო უკვე დემოგრაფიულად დაბერებული ქვეყანაა. დემოგრაფიული დაბერების პროცესი, რომელიც განსაკუთრებული სიძლიერით 1992-1997 წლებში მიმდინარეობდა, ორი ძირითადი მიზეზით იყო განპირობებული: შემცირდა შობადობა და მნიშვნელოვნად გაიზარდა ემიგრაციული პროცესები, რომელშიც ძირითადად 60 წლამდე ასაკის მოსახლეობა მონაწილეობდა.

ქვეთავში ვსაუბრობთ იმაზე, რომ საქართველოში დღეს დემოგრაფიული ზამთარი დგას, ქვეყანაში ერის აქტიური დაბერების პროცესი მიმდინარეობს, იცვლება მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა. სამწუხაროა, რომ ჩვენ მსოფლიოში, დაბერების დინამიკით მეოთხე ადგილზე ვართ, პირველ ადგილზე იაპონიაა.

**თავი 3. ეთნო-პოლიტიკური პროცესები და სახელმწიფოს დემოგრაფიული პოლიტიკა - შიდა კონფლიქტების დარეგულირების მექანიზმი (ემპირიული კვლევები).**

**3.1. დემოგრაფიული პოლიტიკის როლი კონფლიქტების ტრანსფორმირებასა და სახალხო დიპლომატიის განხორციელებაში;**

**3.2. დემოგრაფიული პოლიტიკა და ეროვნული ინტერესების რეალიზაციის შესაძლებლობები - ემპირიული კვლევა (ექსპერტების შეფასებითი ანალიზი);**

**3.3. საზოგადოების როლი დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელებასა და**

**სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფაში - ემპირიული კვლევა;**

**მესამე თავის პირველ ქვეთავში** ვსაუბრობთ სახელმწიფოს უსაფრთხოების საკითხებში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე - საქართველოს შიდა კონფლიქტებზე. მიმოვიხილეთ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დემოგრაფიული ისტორია და გავაკეთეთ არსებული სიტუაციის ანალიზი.

ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტი საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი საკითხია. ეთნოკონფლიქტების დარეგულირებაში მნიშვნელოვანია კონფლიქტების მოგვარების ყველა მეთოდის გამოყენება, მათ შორის – კონფლიქტების ტრანსფორმაცია. სახალხო დიპლომატია სწორედ ამ მიმართულებით უნდა გაძლიერდეს. სახალხო დიპლომატიასა და კონფლიქტების ტრანსფორმაციაში დემოგრაფიული პოლიტიკა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. ნდობის აღდგენა ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის შესაძლებელია იმის შემდეგ, როდესაც მხარეები დარწმუნდებიან, რომ ომის საფრთხე აღარ არის.

ქვეთავში მიმოვიხილეთ აფხაზეთის მოსახლეობის სტატისტიკური მონაცემები საბჭოთა პერიოდში, 90-იანი წლების შემდეგ და ახლა. ამ მონაცემების განხილვის შემდეგ კი გამოვკვეთეთ ის უდიდესი დემოგრაფიული პრობლემა, რაც ეთნიკურ ქართველებსა და აფხაზებს აქვთ და ამის მოგვარების ერთ-ერთი საუკეთესო გზა ერთმანეთის გენოფონდზე ზრუნვაა.

**სადოქტორო ნაშრომის მესამე თავის მეორე ქვეთავი** მესამე თავის მეორე ქვეთავში განვიხილეთ დემოგრაფიული პოლიტიკის და ეროვნული ინტერესების რეალიზაციის შესაძლებლობები, ჩავწერეთ პირისპირ ჩაღრმავებული ინტერვიუები ექსპერტებთან.

დემოგრაფიული პოლიტიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტულ მიმართულებად გამოაცხადა, სწორედ მისი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე. ამიტომ გადავწყვიტეთ, ეპირიული კვლევებით დაგვესაბუთებინა ჩვენ მიერ შემოთავაზებული ჰიპოთეზა და

გაგვემყარებინა ჩვენი მსჯელობა იმის შესახებ, თუ რატომ განსაზღვრავს დემოგრაფიული პოლიტიკა ქვეყნის უსაფრთხოებას და როგორია დემოგრაფიული განვითარების ინსტიტუციონალური და სამართლებრივი ასპექტები – ექსპერტების შეფასებით.

ემპირიული კვლევის ჩასატარებლად შევარჩიეთ თვისობრივი კვლევის მეთოდი: ნახევრად სტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუ (პირისპირ ინტერვიუ) და ფოკუს-ჯგუფში მუშაობა. ვიმუშავეთ ესქპერტებთან, რომლებიც ანალიზს ატარებენ მოქალაქეებთან (მათ შორის – ემიგრანტებთან), რომელთათვისაც მნიშვნელოვანია დემოგრაფიული პოლიტიკის არსის ცოდნა სახელმწიფოს უსაფრთხოების საკითხებში. სწორედ ქვეყნის მოსახლეობის ქმედებაა ამ პოლიტიკის განხორციელების სუბიექტი.

ჩვენი რესპოდენტები იყვნენ ექსპერტები: ანზორ თოთაძე (ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, დემოგრაფი) გიორგი მელაძე (ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, დემოგრაფი), თამარ ჩიბურდანიძე (პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი), დავით ქართველიშვილი (უსაფრთხოების საკითხების ექსპერტი).

ემპირიული კვლევის მიზანს წარმოადგენდა ექსპერტების შეფასებით, სახელმწიფო უსაფრთხოებაში დემოგრაფიული პოლიტიკის როლისა და თანამედროვე გლობალური პოლიტიკის გამოწვევების განსაზღვრა; დემოგრაფიული პოლიტიკის, როგორც „პოლიტიკების პოლიტიკის“ წარმოჩენა. მისი ფუნქციის სწორად განსაზღვრა ერის იდენტობისა და სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების დაცვაში.

ექსპერტებთან ინტერვიუმ დაგვისაბუთა ის მოსაზრება, რასაც ეფუძნება ჩვენი სამეცნიერო ნაშრომი. დემოგრაფიული პოლიტიკა, მისი ყველა მიმართულებით, ნამდვილად წარმოადგენს სახელმწიფოს უსაფრთხოების მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს. დემოგრაფია პრაქტიკული დანიშნულების მეცნიერებაა, რომლის მიღწევებიც სახელმწიფო უსაფრთხოების პოლიტიკის გატარებისას უდავოდ

გასათვალისწინებელია. უფრო მეტიც, იგი აღნიშნული პოლიტიკის ერთ-ერთ საყრდენს წარმოადგენს.

**მესამე თავის მესამე ქვეთავში** განვიხილეთ საზოგადოების როლი დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელებასა და სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, ვიმუშავეთ ფოკუს-ჯგუფში. გამომდინარე იქიდან, რომ დემოგრაფია – ეს არის მოსახლეობის განვითარების დინამიკა, დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელებისას მთავარ სუბიექტს სწორედ მოსახლეობა წარმოადგენს. დემოგრაფიულ პრობლემებში ერთ-ერთი მთავარი პრობლემა მოსახლეობის დაბალი დემოგრაფიული განათლებაა, რაც გულიხმობს იმას, რომ მოსახლეობამ არ იცის საკუთარი ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების ისტორია, არ იცის არსებული დემოგრაფიული პრობლემები და მისი გადაჭრის გზები, არ იცის ყველაზე მთავარი – ის, რომ დემოგრაფიული პოლიტიკა განსაზღვრავს ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკას.

ქვეთავში განვიხილეთ ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელზეც დავა დღემდე გრძელდება გაეროს წევრ სახელმწიფოებში: არის თუ არა პირდაპირ კავშირში ქვეყნის ეკონომიკური განვითარება დემოგრაფიულ განვითარებასთან? თუ დემოგრაფიული პრობლემები უფრო მენტალური და ეროვნული ცნობიერების პრობლემებისგან იჩენს თავს? ამ საკითხზე პოლიტიკოსები ასკვნიან, რომ დემოგრაფიული განვითარება პირდაპირ ბმაშია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან, ხოლო რიგი ექსპერტები თვლიან, რომ ეს უფრო ეროვნული ცნობიერების დაქვეითების პრობლემაა. თუ მსოფლიო ტიტულოვანი ქვეყნების დემოგრაფიულ ისტორიას გადავხედავთ, ფაქტია, რომ დღეს მილევადი ერები სწორედ განვითარებული სახელმწიფოებია. რამდენადაც ამ პროცესში მთავარი სიტყვა ხალხს ეკუთვნის, ფოკუს-ჯგუფში მუშაობისას, ეს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად მივიჩნიეთ და სიღრმისეულად გამოვიკვლიეთ მოსახლეობის განწყობები.

სწორედ ამიტომ, ჩვენი სადოქტორო ნაშრომის მესამე თავის მესამე ქვეთავი დავუთმეთ ფოკუს-ჯგუფში თვისობრივ კვლევებს, რომელიც შედგებოდა 10 პირისგან.

რესპოდენტები იყვნენ ყველა რეპროდუქციული ასაკის წარმომადგენლები, განსაკუთრებით, ახალგაზრდები.

ფოკუს-ჯგუფში გამოკვლევისას შევარჩიეთ ერთ-ერთი ტიპი – ანალიტიკური გამოკვლევა. შევადგინეთ გამოკვლევის პროგრამა, ანუ კონცეფცია. კვლევის მეთოდოლოგიურ ნაწილში შევეცადეთ, ჩამოგვეყალიბებინა პრობლემის არსი და თემის აქტუალობა. განვსაზღვრეთ ობიექტი და თემა. პრობლემიდან გამომდინარე, დავსახეთ მიზნები და ამოცანები და, საბოლოოდ, შევეცადეთ, დაგვესაბუთებინა კვლევის ჰიპოთეზა.

ფოკუს-ჯგუფებში კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა, რამდენად გათვიცნობიერებული იყვნენ მოქალაქეები დემოგრაფიულ პოლიტიკაში, და როგორ წარმოედგინათ საკუთარი როლი ამ პრობლემის მოგვარების საკითხებში.

შევადგინეთ ანკეტა ძირითადი კითხვებით, რომელთა ჩაშლა და გავრცობა განხორციელდა ფოკუს-ჯგუფში მუშაობისას:

შევეცადეთ, ფოკუს-ჯგუფის წევრები შეგვერჩია სხვადასხვა სოციალური ჯგუფიდან, რათა უფრო მკვეთრი ყოფილიყო ჩვენთვის საზოგადოების შეხედულებები. ჩვენს ყურადღებას უმთავრესად იქცევდა ის, ზოგადად მაინც თუ აცნობიერებდნენ ისინი  დემოგრაფიულ პოლიტიკას, და აკავშირებდნენ თუ არა ამ პოლიტიკას სახელმწიფოს უსაფრთხოებასთან.

ფოკუს-ჯგუფში, საზოგადოების წარმომადგენლებთან ინტერვიუებმა გაამყარა ჩვენი მოსაზრება დემოგრაფიული პოლიტიკის მნიშვნელობაზე და ამასთანავე, დაგვანახა დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელების ძირითადი პრობლემები საზოგადოების თვითშეგნების თვალსაზრისით. აშკარა იყო ეროვნული ცნობიერების კავშირი დემოგრაფიულ პოლიტიკასთან და ამ პრობლემების მოგვარების მთავარი გზაც სწორედ ამაზე გადის.

მესამე თავის მესამე ქვეთავში გავაკეთეთ ემპირიული კვლევების დასკვნა, რამაც დაასაბუთა, რომ დემოგრაფიული პოლიტიკა პირდაპირ კავშირშია მოქალაქეების ეროვნულ ცნობიერებასთან. ეს არ გამორიცხავს იმას, რომ სოციალურ-ეკონომიკური

პოლიტიკა უმთავრესია, მაგრამ პრობლემა უფრო სხვაგანაა და ეს სწორედ ეროვნული სულისკვეთებით უნდა მოგვარდეს. თუკი სახელმწიფოსთან ერთად საზოგადოებაც არ გაითავისებს საკუთარ როლს ამ პრობლემის დარეგულირების საკითხში, ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებიც დარჩება უდიდეს პრობლემად.

## დასკვნა

სამეცნიერო კვლევებით სრულად გავეცით პასუხი წარმოდგენილ საკვლევ კითხვებს და დავასაბუთეთ ჩვენი ნაშრომის ჰიპოთეზა.

როგორც ქართველ, ისე უცხოელ მეცნიერთა კვლევები ცხადყოფს, რომ მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარების პოლიტიკა პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოთა განვითარებასთან, მათ არსებობასა და მომავლის პერსპექტივასთან. მეცნიერების დოქტრინები უსაფრთხოების, დემოგრაფიის, ადამიანური კაპიტალისა და კონფლიქტების საკითხების შესახებ, თვალნათლივ ასახავს იმ გარემოებას, თუ რამდენად მნიშვნელოვნად მიიჩნევენ მოსახლეობის რაოდენობას ერი-სახელმწიფოების, მათ შორის, იმპერიების გადარჩენის პროცესში. ნათელია ისიც, თუ რა როლს ასრულებს დემოგრაფიული პოლიტიკა სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებზე, ქვეყნის შიდა ეთნოპოლიტიკაზე და ქვეყნის სტაბილურობაზე.

დღეს, დემოგრაფიული მეცნიერების მიმართ გაზრდილმა ინტერესმა მსოფლიოს საუნივერსიტეტო ბაზაზე, დაასაბუთა ის მოსაზრება, რასაც საუკუნის წინ დემოგრაფები თავიანთი კვლევებით ასაბუთებდნენ – დემოგრაფიული მეცნიერება აუცილებლად გახდებოდა ერთ-ერთი წამყვანი და უმნიშვნელოვანესი დარგი, რომელსაც გამოიყენებენ პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებით წარმართვაში. დემოგრაფია, როგორც მეცნიერება, დღეს აღარ არის ის, რისთვისაც შეიქმნა. დემოგრაფია არ ახდენს მხოლოდ მოსახლეობის აღწერას, დემოგრაფია დღეს განსაზღვრავს სახელმწიფოებისა და მსოფლიოს განვითარების მთავარ სტრატეგიას. ეს არის მეცნიერება, რომლის მეოხებითაც განისაზღვრება მსოფლიოს ხალხთა

მომავალი, ის, თუ როგორ  შეიძლება შეიცვალოს სამყარო – ტიტულოვანი ერების გაქრობითა და განვითარებადი ერების მოსახლეობის სიჭარბით.

სადისერტაციო ნაშრომში მიმოხილული პოლიტიკური დომკუმენტებიდან ნათლად ჩანს, რომ დემოგრაფიული პოლიტიკა სახელმწიფოების და, აქედან გამომდინარე, მსოფლიო პოლიტიკის უსაფრთხოების ერთ-ერთი  განმსაზღვრელი ფაქტორია. დემოგრაფიულ პროცესში პოლიტიკურ-სამართლებრივი ურთიერთობები ეროვნული უსაფრთხოების ინსტიტუციონალურ ფორმებად ჩამოყალიბდა. საქართველოში უკვე ათი წელია დემოგრაფიული უსაფრთხოების საკითხები თითქმის ყველა უმაღლეს პოლიტიკურ დოკუმენტშია ასახული. ასევეა გაეროს რეზოლუციებშიც. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ როგორც დემოგრაფიული მეცნიერება, რომელიც ინტერდისციპლინარული მეცნიერებაა, ისე დემოგრაფიული პოლიტიკაც – პოლიტიკების ერთობლიობას მოიცავს და განსაზღვრავს სახელმწიფოს რაკურსს, შიდა და გარე პოლიტიკას.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი იქნა რამდენიმე მსხვილი პოლიტიკური დოკუმენტი, მათ შორის, „ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“, „დემოგრაფიული უსაფრთხოების დოკუმენტი“, „დაბერების პოლიტიკის დოკუმენტი“ და სხვა, შექმნილი მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე ეს საკმარისი არ არის და აუცილებელია სახელმწიფოს სამოქმედო გეგმის შედგენა.

მეცნიერული თეორიების და დოქტრინების გაანალიზებით შევეცადეთ გადმოგვეცა ის შეხედულებები, რასაც წლების განმავლობაში იკვლევდნენ მკვლევარები. უსაფრთხოების საკითხები, დემოგრაფიული მეცნიერება, რეპროდუქციული ჯანმრთელობა, მიგრაცია, ადამიანური კაპიტალი და ერის დაბერების საკითხები ცალ-ცალკე საფუძვლიანად იყო შესწავლილი, თუმცა, კავშირი მათ შორის, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს უსაფრთხოებას, არ იყო დადგენილი. მეცნიერული თეორიების ანალიზით ჩვენ შევძელით ამ კავშირის დადგენა და ყველა პოლიტიკის ერთ დემოგრაფიულ პოლიტიკაში მოქცევა. სწორედ

ამის შედეგად დავასაბუთუთ, რომ დემოგრაფიული პოლიტიკა პოლიტიკების პოლიტიკაა. საბოლოოდ კი, შევძელით სახელმწიფო უსაფრტხოების საკითხებში დემოგრაფიული როლის განსაზღვრა.

დღეს მთელს მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოშიც, დემოგრაფიული უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ პრობლემას გლობალიზაცია წარმოადგენს. დემოგრაფიული პრობლემის გადაჭრის მცდელობა მსოფლიო მასშტაბით უკვე, ფაქტობრივად, ნახევარ საუკუნეს ითვლის, თუმცა, შედეგი არც თუ ისე სახარბიელო გვაქვს.

გლობალიზაციის პერიოდში მივიღეთ ბრძოლის ახალი მეთოდი - „ჰიბრიდული ომი“, რომლის ყველაზე მძლავრი იარაღია დეზინფორმაცია და პროპაგანდა. საქართველოს დამოუკიდებლობის 35-წლიანმა მოკლე, მაგრამ საკმაოდ დატვირთულმა პერიოდმა ნათლად დაგვანახა, რომ ჰიბრიდული ომი ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებს არა მხოლოდ რუსეთის მხრიდან, არამედ, დასავლეთის მხრიდანაც. ორივე მხარე დეზინფორმაციას იყენებდა და დღესაც აქტიურად იყენებს საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის. ჩრდილოეთი ანტიდასავლურ კამპანიას ეწევა საქართველოში, ხოლო დასავლეთი – ანტირუსულს. სამწუხაროდ, არცერთი მხარე არ ეწევა პროქართულ საინფორმაციო კამპანიას, და ეს ასეც იქნებოდა, რადგან ზოგადად, არცერთი ქვეყანა არ მოქმედებს ჩვენი ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით. ყველა სახელმწიფო ჩვეულებისამებრ მოქმედებს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. ის, რომ დაინტერესებული მხარეები ასე იქცეოდნენ, არ არის გასაკვირი, გასაკვირი მხოლოდ ის არის, რომ ამას ორივე მხარე ქართველების ხელით მოქმედებდნენ. აქტიური დეზინფორმაციული კამპანიაც სწორედ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების უშუალო მონაწილეობით ხორციელდება დღესაც.

ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში ხშირად ვეხებით ისეთ თემებს, რომელიც ქვეყანაში დემოგრაფიული პრობლემების წარმოქმნას, ტრადიციული, ოჯახური ღირებულებებისა და ეროვნული ცნობიერების დაქვეითება იწვევს. ამაში კი მთავარი პროპაგანდისტული როლი ლიბერალიზმს ეკუთვნის. მცირე ერების

განადგურებისთვის ჰიბრიდული ომი ბევრად უფრო მოსახერხებელია, ვიდრე სამხედრო საომარი ქმედებები. ძლიერი იდეოლოგიური საინფორმაციო კამპანიით და, მითუმეტეს, დეზინფორმაციით მცირე, ტრადიციულ ქვეყნებში შესაძლებელია ერის იდენტობის განადგურება, რაც თავისთავად ნიშნავს ამ ქვეყნის დაპყრობას.

სწორედ აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჰიბრიდული ომით შესაძლებელია ქვეყნის მოსახლეობის აზროვნების შეცვლა, ოჯახური ღირებულებების დაქვეითებით ახალგაზრდებში ქორწინებათა რაოდენობის შემცირება, შობადობის კლება, მიგრაციის ზრდა, ეროვნული განათლებისა და ცნობიერების წაშლა, კულტურული სფეროს პოლიტიზირება კერძო ინტერესებისთვის და, საბოლოო ჯამში, ერი-სახელმწიფოს სტატუსის დაკაგვა. ეს კი პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოს უსაფრთხოებასთან. დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს შემთხვევაში, ჰიბრიდული ომის შედეგები პირდაპირ აისახება ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე, რაც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს.

დღეს არცერთ ქვეყანას არ შეუძლია იცხოვროს ერთიანი მსოფლიო პროცესებისგან იზოლირებულად, თუმცა თითოეული მათგანი ისწრაფვის, შეინარჩუნოს სპეციფიკური თვისებები, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული ფასეულობების სახით. გლობალიზაციამ მნიშვნელოვანი სიკეთეები მოუტანა მსოფლიოს სხვადასხვა სფეროში, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გლობალიზაცია უარყოფითად შეეხო მცირე ერებს, რომელთა ეთნოკულტურა და ეროვნული ღირებულებები შესუსტდა.

როგორც აღვნიშნეთ, დემოგრაფია გარკვეული დროის მანძილზე ტაბუდადებულ თემად მიიჩნეოდა მსოფლიოში. პოლიტოლოგების ნაწილი ამ საკითხებს ფაშისტურ იდეებთან ათანაბრებდნენ და ერებს შორის კონფლიქტების გამწვავებას უწინასწარმეტყველებდნენ, თუმცა პირიქით მოხდა. ამ თემის უგულებელყოფამ და დემოგრაფიის მხოლოდ სტატისტიკურ მონაცემებამდე დაყვანამ მსოფლიო, განსაკუთრებით – ევროპა, მართლაც მიიყვანა ეროვნულ შუღლამდე. დღეს დასავლეთის სახელმწიფოებში ყოველდღიურად ძლიერდება მემარჯვენე და

ნაციონალური იდეოლოგიის მქონე ორგანიზაციები. მათი გააქტიურების ერთ-ერთი მთავრი მიზეზი სწორედ თავიანთ ქვეყნებში არსებული დემოგრაფიული პრობლემებია.

საქართველოს დემოგრაფიული ისტორიის მიმოხილვისას მივედით იმ დასკვნამდე, რომ ქვეყნის სიძლიერე პირდაპირ აისახება  დემოგრაფიული განვითარების ისტორიაზე. საქრთველოს სახელმწიფო სწორედ იმ საუკუნეებში იყო ძლიერი, როდესაც მრავალრიცხოვანი იყო. ერის სიმრავლეს ქვეყანაში მშვიდობა და სწორი ეკონომიკური განვითარება განაპირობებდა, რასაც მოსდევდა ხოლმე მოსახლეობის სწრაფი ზრდა. გაზრდილი მწარმოებელი ფენა მეტ შედეგს იძლეოდა ეკონომიკური წინსვლისთვის და ზრდიდა  ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას.

ნაშრომში დავასაბუთეთ  მოსაზრება:  ადამიანური კაპიტალის ფაქტორი განმსაზღვრელია სახელმწიფოში დემოგრაფიული პოლიტიკის შეფასებისას. პრობლემას წარმოადგენს თანამედროვე პერიოდში ადამიანური კაპიტალის გადინება საქართველოდან. გაედინება როგორც დაბალი სოციალური , ისე ინტელექტუალური ფენაც. ქვეყანაში, სადაც ერის დაბერება დიდი ტემპით მიმდინარეობს, მწარმოებელი ფენის ქვეყნიდან გადინება კიდევ უფრო მძიმე დემოგრაფიულ სურათს ქმნის. ეს საყურადღებოა დღეს, როდესაც ქვეყანას უვიზო მიმოსვლა აქვს რამდენიმე სახელმწიფოსთან, ხოლო თავისუფალი საზღვრები მიგრაციის ხელშემწყობი ფაქტორია. იგივე გზა გაიარეს ევროპულმა სახელმწიფოებმა, თუმცა, ეს პრობლემა მათთან დღემდე ფუნქციონირებს.

ქვეყნები, რომელთა ადგილობრივი მოსახლეობის რიცხვი მკვეთრად მცირდება, იზრდება მიგრანტების ხარჯზე. მოსახლეობის შევსებამ მიგრანტებით, რომელიც აქტიურად გამოიყენეს დასავლეთის სახელმწიფოებმა, დღეს უკვე სავალალო შედეგი მოიტანა - სახელმწიფოს პოლიტიკას უკვე განსაზღვრავენ არა ადგილობრივი მოსახლეობა, არამედ, სხვა ეთნოსისა და კულტურის მქონე მიგრანტები. ეს კი საბოლოო ჯამში ცვლის ერის იდენტობას. ამ მიგრაციულ პროცესს „დემოგრაფიულ ანექსიას“ უწოდებენ, რისი საფრთხე საქართველოსაც აქვს. თუკი სახელმწიფომ არ

შეიმუშავა მკაცრი მიგრაციული პოლიტიკა, ქვეყანა აუცილებლად აღმოჩნდება დემოგრაფიული ანექსიის ქვეშ, მითუმეტეს, როდესაც საზღვრების დიდი ნაწილი მოსახლეობისგან დაცლილია.

მიგრაციულ პრობლემებთან ერთად, საქართველოსთვის უდიდეს პრობლემას წარმოადგენს ერის დაბერება და მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა, ასევე რეპროდუქციული ჯანმრთელობა. აბორტები კრიტიკულ ასაკამდეა დასული, ახალგაზრდების ჯანმრთელობა სხვადასხვა ფაქტორის გამო მკვეთრად გაუარესებულია, უშვილობა გაახალგაზრდავებული და რაოდენობრივად გაზრდილია. ქორწინება და განქორწინება გათანაბრებული და რაც ყველაზე საგანგაშოა, პირველი შვილების რაოდენობაა მკვეთრად შემცირებული. ეს არის სწორედ ლიბერალიზმის შედეგი - ახალგაზრდები უპირატესობას აძლევენ პირად თავისუფლებას და კარიერულ ზრდას, ვიდრე ოჯახის შექმნას და შვილოსნობას.

ამ საკითხებზე სიღრმისეული ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქვეყანაში, რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ მოსახლეობაში და განსაკუთრებით ახალგაზრდებში, ცოდნის დეფიციტია, ხოლო ოჯახის, როგორც ერთგვარი ფენომენის მიმართ დამოკიდებულებაში, კრიტიკული რეგრესი.

სამეცნიერო ნაშრომში, სამხრეთ კავკასიის დემოგრაფიული მონაცემების ანალიზისას, აშკარად გამოიკვეთა რეგიონში, საქართველოსთვის არსებული პრობლემები მოსახლეობის კლების გათვალისწინებით, რაც სამომავლოდ აუცილებლად აისახება რეგიონის პოლიტიკაზე. ჩვენ მიმოვიხილეთ სამხრეთ კავკასიის დემოგრაფიული განვითარების დინამიკა, რომელსაც მიჰყვება სამივე ქვეყნის პოლიტიკური ქრონიკები. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავსკვნათ, რომ დემოგრაფიული პრობლემები არა მარტო ქვეყნის შიგნით არის უდიდესი პრობლემა, ის აუცილებლად იქცევა საგარეო პოლიტიკის პრობლემად, ამ დინამიკის შენარჩუნების შემთხვევაში.

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა იმაზე უფრო სწრაფად მცირდება, ვიდრე გაეროს 2010 წლის კვლევებშია მითითებული. თუკი 2050 წლამდე მოვლენები ასე

განვითარდება, მაშინ  დემოგრაფიული ბალანსის დარღვევა  სამხრეთ კავკასიაში კიდევ უფრო საგრძნობი იქნება, რაც აისახება რეგიონის პოლიტიკაზე. მოსახლეობის განვითარების ამგვარი დინამიკა მიუთითებს იმაზე, რომ საქართველო სამხრეთ კავკასიაში კარგავს დომინანტი სახელმწიფოს როლს, რაც მას ისტორიულად ჰქონდა და აბალანსებდა რეგიონის „ცხელ“ პოლიტიკას.

მნიშვნელოვანი იყო დემოგრაფიული პოლიტიკის როლის განსაზღვრა სახელმწიფოს შიდა კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესში. დემოგრაფია შეგვიძლია სახალხო დიპლომატიის ფორმატში, ნდობის აღდგენის კუთხით სასაუბრო ენად გამოვიყენოთ.

რაც შეეხება თვისობრივ კვლევებს, შევძელით დაგვესაბუთებინა ის მოსაზრება, რაც ძირითადი საკვლევი საკითხები იყო. ექსპერტების დამაჯერებელმა  პასუხებმა მოგვცა  სიღრმისეული ანალიზის საშუალება და გაამყარა თეორიული კვლევების შედეგად ჩამოყალიბებული მოსაზრებები, რომ სახელმწიფოს უსაფრთხოებას ნამდვილად განსაზღვრავს დემოგრაფიული პოლიტიკა და ამ მიმართულებით საქართველომ უნდა განახორციელოს მთელი რიგი რეფორმები.

ექსპერტებთან ინტერვიუმ დაგვისაბუთა ის მოსაზრება, რასაც ეფუძნება ჩვენი სამეცნიერო ნაშრომი. დემოგრაფიული პოლიტიკა, მისი ყველა მიმართულებით, ნამდვილად წარმოადგენს სახელმწიფოს უსაფრთხოების მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს. დემოგრაფია პრაქტიკული დანიშნულების მეცნიერებაა, რომლის მიღწევებიც სახელმწიფო უსაფრთხოების პოლიტიკის გატარებისას უდავოდ გასათვალისწინებელია. უფრო მეტიც, იგი აღნიშნული პოლიტიკის ერთ-ერთ საყრდენს წარმოადგენს.

პრობლემა გამოიკვეთა ახალგაზრდებთან დაკავშირებით, რომელთა დიდი ნაწილი უფრო ლიბერალურად აზროვნებს, ვიდრე უფროსი თაობა. ერის გამრავლებაში კი სწორედ ეს ასაკობრივი სეგმენტია გადამწყვეტი. თუკი ახალგაზრდა თაობა დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებას სახელმწიფოებრივი აზროვნებიდან გამომდინარე არ მიუდგება, ამ პრობლემების მოგვარება

შეუძლებელია. სწორედ ამიტომ, მისასალმებელია სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები ეროვნული ღირებულებების შესანარჩუნებლად.

ახალგაზრდებთან საუბარმა არაერთ საკითხზე დაგვაფიქრა და, შეიძლება ითქვას, ეს ჩვენი სამეცნიერო კვლევის განსაკუთრებული ნაწილი აღმოჩნდა. რეპროდუქციული ასაკის მქონე მოქალაქეებმა და, მათ შორის, ახალგაზრდებმა, თითქმის სრულად გადმოგვცეს საზოგადოების განწყობები, დამოკიდებულებები სხვადასხვა საკითხის მიმართ, და დაგვისაბუთეს მეცნიერთა ერთი ნაწილის მოსაზრება, რომ დემოგრაფიული პრობლემების წარმოქმნა განპირობებულია არა იმდენად სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებით, არამედ საზოგადოებაში ეროვნული ცნობიერების დაქვეითებით. ეს ეხება განსაკუთრებით – ახალგაზრდებს. ეროვნული ცნობიერების დაქვეითება კი ეროვნული პოლიტიკის კრიზისს იწვევს ქვეყანაში.

ემპირიულმა კვლევებმა დაასაბუთა, რომ დემოგრაფიული პოლიტიკა პირდაპირ კავშირშია მოქალაქეების ეროვნულ ცნობიერებასთან. ეს არ გამორიცხავს იმას, რომ სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა უმთავრესია, მაგრამ პრობლემა უფრო სხვაგანაა და ეს სწორედ ეროვნული სულისკვეთებით უნდა მოგვარდეს. თუკი სახელმწიფოსთან ერთად საზოგადოებაც არ გაითავისებს საკუთარ როლს ამ პრობლემის დარეგულირების საკითხში, ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებიც დარჩება უდიდეს პრობლემად.

განსაკუთრებით ფოკუს-ჯგუფში ახალგაზრდებთან ინტერვიუს დროს, ნათელი იყო ის შეცდომები, რამაც სახელმწიფოც და საზოგადოებაც აქამდე მიიყვანა. ეს არის იდეოლოგიური ბრძოლა ქვეყანაში, რომელიც ბუნებრივია, ეპოქის გამოძახილია, მაგრამ აზიანებს თითქოსდა ვიღაცისთვის მხოლოდ სტატისტიკური ციფრებით წარმოდგენილ დემოგრაფიულ მონაცემებს, სინამდვილეში კი, აზიანებს ქვეყნის უსაფრთხოებას.

სადისერტაციო ნაშრომში მიმოვიხილეთ დემოგრაფიული პროცესი და სამართლებრივ პოლიტიკური ურთიერთობები. გავეცანით საქართველოს

კონსტიტუციას, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას, საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებებს, რომელიც ნათლად მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელება. ასევე გავეცანით მსოფლიო პოლიტიკის უსაფრთხოებაში დემოგრაფიული პოლიტიკის როლსა და მოსალოდნელ პროცესებს. მიმოვიხილეთ ადამიანური კაპიტალის როლი სახელმწიფოს დემოგრაფიული განვითარების პროცესში და, რაც მთავარია, გავეცანით ერის დაბერების დინამიკას საქართველოში, რომელიც პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან.

სადისერტაციო ნაშრომის თეორიულ და ემპირიულ კვლევებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **უსაფრთხოების ობიექტი ნამდვილად არის სახელმწიფო, ხოლო სახელმწიფოს უსაფრთხოებას დიდწილად განსაზღვრავს დემოგრაფიული პოლიტიკა, როგორც სხვადასხვა პოლიტიკაში ასახული მოსახლეობის განვითარების დინამიკა.**

**რეკომენდაციები**

დასკვნიდან გამომდინარე, შევიმუშავეთ შემდეგი რეკომენდაციები:

- სახელმწიფომ სისტემური დემოგრაფიული პოლიტიკა უნდა შეიმუშაოს. მართალია, დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია უკვე მიღებულია, მაგრამ დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნევთ ამ კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის გადახედვას;
- ემპირიული კვლევის დასკვნიდან გამომდინარე, აუცილებელია საზოგადოების ფართო მასების ინფორმირებულობა ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული პრობლემების შესახებ.
- აუცილებელია დემოგრაფიული მეცნიერების განვითარების ხელშეწყობის მიზნით უმაღლეს სასწავლებლებში დემოგრაფიული მეცნიერების სწავლების გაფართოება ყველა დონეზე;

- მიზანშეწოლილია სასკოლო სწავლების დონეზე დემოგრაფიის ისტორიაში მომზადდეს სახელმძღვანელო და დამხმარე საკითხავ ლიტერატურად შევიდეს საჯარო სკოლებში;
- აუცილებელია შობადობის წახალისების მიზნით გაფართოვდეს არსებული სოციალური პაკეტი – ფულადი დახმარება;
- ასევე, გაფართოვდეს მრავალშვილიანთა სოციალური დახმარების პაკეტი და დაემატოს საჭიროებებზე მორგებული ინიციატივები;
- განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მიგრაციის პრობლემებს. აქ უმნიშვნელოვანესია ნორმალურად ანაზრაურებადი სამუშაო ადგილების შექმნა და მოსახლეობის დამაგრება ქვეყანაში;
- აუცილებელია დიასპორული რესურსის გამოყენება სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის უკეთ წარმართვისათვის, იქნება ეს დიპლომატია, კულტურული ურთიერთობები თუ სხვადასხვა აქტივობა ქვეყნებში.
- აუცილებელია საქართველოს საზღვრისპირა ზოლის გამაგრება მოსახლეობით. ამისათვის მიზანსეწოლილია უკვე წარმატებით განხორციელებული „მთის კანონის“ მსგავსი პაკეტის შემუშავება სპეციალურად საზღვრისპირა დასახლებებისთვის.
- შიდა კონფლიქტების მოგვარების საკითხებში აქტიურად იქნას გამოყენებული დემოგრაფიული პოლიტიკა. როგორც კონფლიქტების ტრანფორმაციის პროცესში, ისე სახალხო დიპლომატიაში;
- სახელმწიფომ, ახალგაზრდული პოლიტიკის ფარგლებში, აქტიურად გამოიყენოს დემოგრაფიული პოლიტიკის ნიუანსები, რათა ახალგაზრდა თაობაში გაჩნდეს ამ თემისადმი მიმღებლობა. დემოგრაფიული პრობლემების მოგვარების მთავარი იარაღი სწორედ ახალგაზრდებში ეროვნული ცნობიერების გაღვივებაა.

წინამდებარე სამეცნიერო ნაშრომი, რომელშიც სრულად წარმოვადგინეთ დემოგრაფიული პოლიტიკის არსი სახელმწიფოს უსაფრთხოების საკითხებში,

იქნება ერთგვარი გზამკვლევი როგორც საქართველოსთვის, ისე სხვა ქვეყნებისთვის, რომელთაც მსგავსი დემოგრაფიული პრობლემები აქვთ და ჰიბრიდული ომის პერიოდში უწევთ როგორც სახელმწიფოს სუვერენიტეტის შენარჩუნება, ისე მისი მრავალეთნიკური ისტორიული გენოფონდის გადარჩენაც.

**ინფორმაცია ნაშრომის აპრობაციის შესახებ**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში დაცულ იქნა სამი კოლოკვიუმი და ერთი თემატური სემინარი. **სამი კოლოკვიუმი (თითოეული არის სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი)**

**კოლოკვიუმი 1 -** დემოგრაფიული პოლიტიკის ისტორიულ-მეცნიერული მიმოხილვა და თეორიული ასპექტები;

**კოლოკვიუმი 2 -** დემოგრაფიული პროცესი და პოლიტიკურ-სამართლებრივი ურთიერთობები;

**კოლოკვიუმი 3 -** საქართველოს ეროვნული ინტერესები და დემოგრაფიული პოლიტიკის რეალიზაციის მექანიზმები (ემპირიული კვლევები)

თემატური სემინარი (ეძღვნება დარგის/ქვედარგის აქტუალურ საკითხს და არ წარმოადგენს სადისერტაციო თემის ნაწილს)

**„დეზინფორმაცია და მისი გავლენა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე“**

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:

სტატიები:

1. **THEORY OF HUMAN CAPITAL IN DEMOGRAPHIC SCIENCE MANAGEMENT OF ECONOMIC PROCESSES AND THE PROSPECT OF SOLVING DEMOGRAPHIC PROBLEM**

International Scientific Journal Theoretical &Applied Science p-ISSN: 2308-4944, (print) e-ISSN: 2409-0085 (online)
Year: 2023 Issue: 12 Volume: 128
Published: 30.12.2023

2. **DISINFORMATION AND ITS IMPACT ON PUBLIC AND POLITICAL LIFE**

Fars International Jurnal Of Education, Social Science & Humanities

ISSN: 2945-4492 SJIF(2024):8.09

Published 2024-08-25

Issue Vol.12 No. 7(2024);FIJESH

3. **სამხრეთკავკასიის ქვეყნების დემოგრაფული პოლიტიკა და მოსალოდნელი შედეგები 2050 წლისთვის.** □□□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □□□□□□□"SociopolitoLOGOS" N2
Journal DOI: https://doi.org/10.52340/splogos ISSN: 2960 9097 e-ISSN: 2960-9089

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები:

**1.INSTITRUTIONAL FORMS OF NATIONAL AND DEMOGRAFIC SECURITY**

In en International Multidisciplinary Conference '25th international Conference on Advance Research in HUmnities, Applied Science Education. Published with Conferencea International Database, online from New York, USA on April 28th 2024.

**2.HISTORY AND POLITICAL ASPECTS THE DEMOGRAPTHIC DEVELOPMENT OF GEORGIA**

'International Conference on Development in Education', published with E-Conference Zone International Databass, hosted online from Amsetrdam, Hetherlands on July 22nd, 2024

Caucasus International University

*Manuscript Rights*

Faculty of Social Sciences and Humanities

Doctoral Program in Political Science

Dimitri Khundadze

# Demographic Policy as one of The Determining Factors of State Security (on the example of Georgia)

Abstract of the Dissertation

Submitted for the Academic Degree of Doctor of Political Science

**Tbilisi, 0141, Georgia 2024**

The scientific work was conducted at the Doctoral Program in Political Science of the Faculty of Social Sciences and Humanities at Caucasus International University.

**Scientific Supervisor: Tamar Kiknadze**

Doctor of Political Science, Associate Professor at Caucasus International University

**Official reviewers:**

**Vazha Lortkipanidze**

Academician of the Georgian Academy of Sciences,

Professor of Tbilisi Ivane Javakhishvili State University

**Davit Kukhalashvili**

Doctor of History and Occupational Safety,

Associate Professor of Caucasus International University

**Experts:**

**Ketevan Shoshiashvili**

Doctor of History,

Associate Professor of Caucasus International University

**Vazha Shubitidze**

Doctor of Political Science,

Professor of Georgian Technical University

The dissertation defense will be held on **July 2, 2025, at 15:00,** at the session of the Dissertation Council of the Doctoral Educational Program in Political Science of the Faculty of Social Sciences and Humanities of Caucasus International University.

**Address: 0141, Tbilisi, 73 Chargli Street**, Building 1, Caucasus International University, Auditorium 305.

The dissertation can be viewed at the Caucasus International University Library.

Secretary of the Dissertation Council: Associate Professor of Caucasus International University Ketevan Shoshiashvili

## Annotation

The dissertation is devoted to determining the role of demographic policy in the issues of state security. In the global challenges of the modern world, demographic problems occupy the main place. In the era of hybrid warfare, where the weapon of struggle between states is "word" and its target is to change people's consciousness, security issues are even more pressing for all countries. The United Nations has called demographic policy the "politics of policies," and researchers have called demographic science "the science of sciences." This is what gives us an excuse to consider both demographic policy and science in terms of state policy.

The purpose of the scientific work and the subject of research is to correctly present the role of demographic science in the formation of state policy and to define demographic policy as one of the main determining factors of state security issues.

The paper discusses the theories and doctrines developed by foreign and Georgian scientists in the fields of demography, economy, migration, aging policy, regional development and security. Almost all political documents and concepts adopted at the state level are also discussed. The perspectives of the population development of the South Caucasus region and the role of demographic policy in the issues of transforming Georgia's internal conflicts are analyzed.

Based on new empirical studies, the research hypothesis is substantiated in the paper, and recommendations are proposed in the summary conclusion, which are important not only for Georgia, but also for other countries with demographic problems.

**Information on the Dissertation Approval Process;**

Three colloquiums and one thematic seminar were presented and defended before the Examination Committee of the Faculty of Social Sciences and Humanities at Caucasus International University.

**Three Colloquiums (Each representing a component of the dissertation):**

**Colloquium 1** - Historical-scientific overview and theoretical aspects of demographic policy;

**Colloquium 2 -** Demographic process and political-legal relations;

**Colloquium 3 -** National interests of Georgia and mechanisms for the implementation of demographic policy (empirical research)

Thematic seminar (dedicated to a topical issue of the field/sub-field and is not part of the dissertation topic)

The main content of the dissertation has been published in the following publications:

**Articles:**

1. **THEORY OF HUMAN CAPITAL IN DEMOGRAPHIC SCIENCE MANAGEMENT OF ECONOMIC PROCESSES AND THE PROSPECT OF SOLVING DEMOGRAPHIC PROBLEM**
International Scientific Journal Theoretical &Applied Science p-ISSN: 2308-4944, (print) e-ISSN: 2409-0085 (online)
Year: 2023 Issue: 12 Volume: 128
Published: 30.12.2023

2. **DISINFORMATION AND ITS IMPACT ON PUBLIC AND POLITICAL LIFE**
Fars International Jurnal Of Education, Social Science & Humanities

ISSN: 2945-4492 SJIF(2024):8.09

Published 2024-08-25

Issue Vol.12 No. 7(2024);FIJESH

3. **Demographic Policy and Expected Results of the South Caucasus Countries by 2050.** International Scientific Journal"SociopolitoLOGOS" N2 Journal DOI: https://doi.org/10.52340/splogos ISSN: 2960 9097 e-ISSN: 2960-9089

**International scientific conferences:**

1. INSTITRUTIONAL FORMS OF NATIONAL AND DEMOGRAFIC SECURITY

In en International Multidisciplinary Conference '25th international Conference on Advance Research in HUmnities, Applied Science Education. Published with Conferencea International Database, online from New York, USA on April 28th 2024.

2. HISTORY AND POLITICAL ASPECTS THE DEMOGRAPTHIC DEVELOPMENT OF GEORGIA

'International Conference on Development in Education', published with E-Conference Zone International Databass, hosted online from Amsetrdam, Hetherlands on July 22nd, 2024